


ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԿՐՈՅԵՎՈ ԿՈԽՈՒԹՅՈՒՆ



Կ 61.460/3

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

61.460

3

3. გერსაძის და ა. კუჭულია



კურორტი ქახი



საქმელგამი
თბილისი
1955

61:91(c922)

ინდიუსტრიალური
სამსახურის მიერ

ვ. გერსაძის წევ ა. კავულიძის

კურორტი მუნიციპალიტეტი

K61.460
3

სპეც-2000
მემორანული



საქართველოს

თბილისი

1955

ო დაქტორი ს. საყვარელიძე
ტექნიკური დასაბეჭდად 3. ხუციშვილი
მხატვარი რ. რევაზიშვილი
კორექტორი გ. ქველაძე

გადაეცა წარმოებას ასაწყობად 25/VII—55 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/VIII—55 წ. ანაწ-
ყობის ზომა $5,5 \times 9$. ქაღალდის ზომა $84 \times 108\frac{1}{32}$.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 4,1. სააღრიცხვო ფორ-
მათა რაოდენობა 3,17. შეკვ. № 816. ტირაჟი 3.000.
უე 03999.

ფასი 2 მან. 25 კაპ.

გარეკანი და ფოტოილუსტრაციები დაბეჭდილია
საქმილიგრაფის ფოტოცინკოგრაფიაში

საქართველოს სსრ სამედიცინო გამომცემლობა
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №26

ქვეყნის განვითარება



პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარების გეგმა ნათლად გამოხატავს იმ მზრუნველობას, რომელსაც იჩენს ჩვენი პარტია და მთავრობა საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის მიმართ.

მოსახლეობის პროფილაქტიკურ-სამკურნალო დახმარების განხორციელებაში დიდი როლი ეკუთვნის კურორტებს, რომლებითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა.

კურორტზე მკურნალობა ეფექტიანია მხოლოდ მაშინ, როდესაც სწორად ხდება მისი სამკურნალო ფაქტორების გამოყენება. ამისათვის კი საჭიროა, რომ კურორტის სამკურნალო თვისებებზე ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს არა მარტო საექიმო პერსონალს, არამედ ავადმყოფებსაც. კურორტის სამკურნალო ფაქტორებს გაცნობილი ავადმყოფი მკურნალი ეჭიმის ერთგვარი თანაშემწეა; მას უკეთ ესმის სამკურნალო პროცედურების მნიშვნელობა, უფრო შეგნებულად უდგება თავის მკურნალობას, ზუსტად ასრულებს სამკურნალო დანიშნულებას და სხვ. ეს კი ხელს უწყობს კურორტული მკურნალობის ეფექტიანობას. ავადმყოფმა უნდა დაიცვას სათანადო რეჟიმი, წინააღმდეგ შემთხვევაში მეტად სასარგებლო სამკურნალო პროცედურა შეიძლება მავნებელიც კი გახდეს. მაგალითად, მზის აბაზანა მეტად მნიშვნელოვანი სამკურნალო საშუალებაა; მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც კურორტზე სამკურნალოდ ჩასული ავადმყოფი ეჭიმის დაუკითხავად ლებულობს მზის აბაზანებს, ზოგჯერ საათობით შიშველი წევს მცხუნვარე მზის სხივების ქვეშ; ამას კი მოსდევს კანის სიდამწვრე, რომელსაც შემდეგ ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება. ბალნეოლოგიურ კურორტებზე ზოგიერთი ცდილობს რაც შეიძლება მეტი აბაზანა მიიღოს და მეტ დროს იწვეს აბაზანაში, რასაც ხშირად

მოსდევს ავადმყოფობის გამწვავება, მდგომარეობის „გაუარესება და სხვ. ამა თუ იმ სამკურნალო საშუალების გადაჭარბებით გამოყენებას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ავადმყოფისათვის, პირიქით, მან შეიძლება გაუარესებაც კი გამოიწვიოს. ეს თავიდან იქნება აცილებული, თუ თითოეული ავადმყოფი გაეცნობა კურორტზე მკურნალობის წესებს და სათანადოდ შეასრულებს მათ.

მენჯის შესახებ პირველი პოპულარული ნაშრომი გამოშვებული იყო რუსულ ენაზე 1935 წელს; იგი განმეორებით გამოიცა 1947 წ. ამის შემდეგ მენჯი ბევრი ცვლილება მოხდა; გაუმჯობესდა მკურნალობა, სამეცნიერო მუშაობა, კურორტის კეთილმოწყობა; ამის გამო ზემოაღნიშნული ბროშურა უკვე ველარ ასახავს მენჯის თანამედროვე მდგომარეობას.

ეს ნარკვევი წარმოადგენს პირველ შრომას ქართულ ენაზე, სადაც შეჯამებულია ყველა ძირითადი მონაცემი მენჯის შესახებ და ფართო მოსახლეობისათვის გასაგები მეცნიერულ-პოპულარული ენით აღწერილია კურორტის თანამედროვე მდგომარეობა და მისი სამკურნალო ფაქტორები.

მენჯის მოქმედების განხილვის დროს ბროშურაში ხშირად არის მოყვანილი მაცესტაში მიღებული მკურნალობის შეღები. ეს გარემოება, ერთი მხრივ, იმით აიხსნება, რომ მენჯის შესახებ ლიტერატურა მეტად მცირეა, ხოლო მეორე მხრივ, მენჯის წყლები არა მარტო ისეთივე ქიმიური შემადგენლობისაა, როგორისაც მაცესტის წყლები, არამედ მათ ახასიათებთ მსგავსი კლინიკური მოქმედებაც. ამაზე ხაზგასმით შიუთითებს ბალნეოლოგიის დიდი მცოდნე პროფ. ვალედინსკი.

იმედი გვაქვს ბროშურა დახმარებას გაუწევს მენჯის მდიდარი სამკურნალო ფაქტორების გამოყენებაში ავადმყოფებს, რომელთა მკურნალობაც ნაჩვენებია ამ კურორტზე, და სათანადო ცნობებს მიაწვდის აგრეთვე ჩვენს მკურნალ ექიმებს, კურორტის შერჩევისას თავისი ავადმყოფებისათვის.





მენჯი. სანატორიუმი № 1.



მენჯი. სააბაზანო შენობა.

ედგილმდებარეობა

კურორტი მენჯი მდებარეობს ქ. ცხაკაიას დასავლეთით 3 კილომეტრის მანძილზე, მდინარე ცივის ხეობაში, სოფ. მენჯში, ზღვის დონედან 29 მეტრის სიმაღლეზე. მისი გეოგრაფიული კოორდინატებია ჩრდილოეთის განედის $42^{\circ}17'$ და აღმოსავლეთის გრძელის $42^{\circ}01'$. მდინარე ცივი გარს უვლის მენჯის მინერალურ წყაროებს; მდინარე თითქოს ზღუდავს უკის ჭედს, რომელიც იწყება მენჯიდან ცოტა მოშორებით, ჩრდილო-აღმოსავლეთით, იმ ადგილას, სადაც მიწის წიაღიდან დღესაც ჩქეფს წყალტუბოს ანალოგი—ნოქალაქევის მინერალური წყლები, სადაც მთის ზურგზე ეხლაც მოჩანს ძველი კოლხეთის დედაქალაქის აიას ნაშთები. ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, აქ ცხოვრობდა კოლხეთის მეფე აიეტი, რომლის გრძნეულმა ქალიშვილმა მედეამ გადაარჩინა იაზონი და სხვა არგონავტები ოქროს ვერძის დარაჯად მდგარი დრაკონის კლანჭებისაგან.

ეკის მთის მწვერვალიდან ხელისგულივით იშლება თვალუწვდენელი კოლხეთის დაბლობი. მწვანე გორაკებზე აღმართული ისტორიული წარსულის მოწმე ძველი კოშკები, სუბტროპიკული ფლორა—ციტრუსები, დაფნა და მუდმივ მწვანე ბალახი „კოინდარი“, რომელიც ყოველ აქაურ კარმიდამოს ამშვენებს, ისეთ თვალწარმტაც სილამაზეს ქმნის, რომ მას, სხვა სამკურნალო ფაქტორების გარეშეც, შეუძლია მეტად სასარგებლოდ იმოქმედოს დაუძლურებულ ორგანიზმზე.

მაგრამ საქართველოში იმდენი ლამაზი კუთხე მოიპოვება, რომ მენჯის სილამაზის აღწერა არავის ფიქრად არ მოუვიდოდა, აქ რომ არ ყოფილიყო მინერალური წყლები.

სიტყვა „მენჯი“ მეგრულია და ნიშნავს მინერალურ წყაროს. მენჯი ანუ მინერალური წყარო სამეგრელოში ბლომად მოიპოვება. ცნობილია მენჯი სკური, რომელიც ამჟამად უკვე შეს-

წავლილია, მენჯი ცაიში, მენჯი ლუგელა, რომელიც წარმოადგენს ჭლორკალციუმის 10% ხსნარს და ამ მხრივ უნიკალურია მთელს მსოფლიოში და სხვ..

ყოველგვარი მინერალური წყლის ეს მეგრული სახელ-წოდება—მენჯი გადაიქცა ამ ბროშურაში აღწერილი მინერალური წყლების და მათ ბაზაზე დაარსებული კურორტის საკუთარ სახელად.

მენჯთან თავდება სამეგრელოს მთიანი ნაწილი, კერძოდ, ეკის ქედი, რომელიც აქ ზღვის დონიდან 150 მეტრის სიმაღლეს აღწევს, და იწყება კოლხეთის თვალუწვდენელი დაბლობი. აღმოსავლეთით გაჭიმულია მდინარე ტეხურის ფართო ხეობა, რომელიც უერთდება მდინარე რიონის ნაყოფიერ ველებს. ეკის ჩრდილო-დასავლეთით აღგილი ვრცელ შაბაძილზე მთაგორაკიანია და დასერილია მდინაოე ცივით და სხვა პატარა მდინარეებით.

გ ზ ე ბ ი. კურორტ მენჯში გადის ამიერკავკასიის რკინიგზა; მატარებელი ჩერდება ამავე სახელწოდების ბაქანზე-აქედან ქალაქ ცხაკაიამდე სულ 5 წუთის სავალია. კურორტს სჭრის რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზა, რომელიც აკავშირებს კურორტ მენჯს და ქ. ცხაკაიას სხვადა-სხვა რაიონთან. დასავლეთით ეს გზა მიდის რაიონულ ცენტრ ჩხოროწყუში, აქედან, სოფელ მუხურის გავლით, სოფ. ლუგელაში, რომელიც ცნობილია თავისი მინერალური წყლით, შემდეგ—კურორტ სკურში, აქედან კი წალენჯიხის გავლით— ქალაქ ზუგდიდში. მენჯის აღმოსავლეთით ეს გზა მიიმართება ქ. ცხაკაიაში და შემდეგ გაივლის დაბა ძველ სენაკს, ნოქალაქევს, რაიონულ ცენტრ გეგეჭკორს და სოფ. სალხინოს. აქედან ეს გზატკეცილი მიდის სამთო-კლიმატურ კურორტ ლებარდეში, რომელიც განთქმულია თავისი ხელუხლებელი წიწვიანი ტყეებით, მდიდარი ბუნებით და მინერალური წყლებით.



მენჯიდან კოლხეთის დაბლობის გავლით შეიძლება საავტორო
მობილო გზით მივაღწიოთ შავ ზღვას. უახლოესი ზღვისპირა
ქალაქი ფოთი ქ. ცხაკაიადან რკინიგზით დაშორებულია 38 კმ
და მატარებლით სულ $1\frac{1}{2}$ საათის სავალია.



ისტორიული ცნობები და კურორტის თანამედროვე ძრგომარეობა

ძველ საქართველოში ბალნეოთერაპია ღიღი პოპულარობით სარგებლობდა. თბილისის გოგირდიან წყლებს უკვე იცნობდნენ მე-10 საუკუნეში. წყლით მკურნალობის შესახებ ცნობებს ვხვდებით მე-13 საუკუნის წიგნში—„წიგნი სააქიმოი“. ვახუშტის გეოგრაფიაში (მე-18 საუკუნე) მოიპოვება ცნობები საქართველოს სამკურნალო წყლების შესახებ. დაბა ნოქალაქევის მიღამოებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ძველი სააბაზანო შენობის ნაშთები მოწმობენ, რომ საქართველოში მინერალური წყლებით მკურნალობა ძველი დროიდანვე იყო ცნობილი.

მენჯის ძველ მცხოვრებლებს ახსოვთ, როგორ იყო გაჭეობული პირველი აბაზანები მდ. ცივის კალაპოტში, მინერალური წყლის გამოსავალთან. მათ ყურადღებას მაშინ იქცევდა მუქი მტრედისფერი წყალი, რომელსაც ძლიერ ხარბად ეტანებოდა პირუტყვი.

აბაზანებით მკურნალობის შედეგებმა სახელი გაუთქვა მენჯის მინერალურ წყლებს. ამით ისარგებლეს ამ ადგილის პატრონებმა, ააშენეს პრიმიტიული სააბაზანო შენობა და დაიწყეს გამთბარი მინერალური წყლის აბაზანებით სარგებლობა ყოველგვარი საექიმო მეთვალყურეობის გარეშე.

მენჯის ნამდვილი ისტორია იწყება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც პირველად ჩატარდა წყლის ქიმიური ანალიზი და კლინიკური დაკვირვება ადამიანის ორგანიზმზე აბაზანების გავლენის შესახებ.

მენჯის მინერალური წყლის ქიმიური ანალიზი პირველად ჩატარა 1927 წელს ქიმიკოსმა რ. კუპცივისმა, რომელმაც აღნიშ-



ნა მისი მსგავსება ცნობილ მაცესტასთან. ამ გამოკვლევაში შემდეგ წარმოებულმა კლინიკურმა დაკვირვებებმა ღიღი რო-
ლი ითამაშა მენჯის განვითარების საქმეში.

1931 წლიდან იწყება მენჯის გეგმიანი შესწავლა. საქართვე-
ლოს სსრ კურორტოლოგიის ინსტიტუტის უშუალო ხელმძღვა-
ნელობით გაიშალა მუშაობა მინერალური წყლის ყოველ-
მხრივ შესასწავლად. შემოწმდა წყლის ქიმიური შემადგენ-
ლობა, წარმოებულ იქნა დაკვირვება აბაზანების სამკურნალო
მოქმედებაზე სხვადასხვა დაავადების დროს, ჩატარდა ჰიდრო-
გეოლოგიური მუშაობა, ყურადღება მიეჭია კურორტის
კეთილმოწყობას და სხვ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენი-
ლებით 1938 წლიდან მენჯი გამოცხადდა რესპუბლიკური
მნიშვნელობის კურორტად და გადავიდა მთავარ საკურორტო
სამმართველოს გამგებლობაში.

1939 წელს გაიხსნა პირველი კეთილმოწყობილი სანატორი-
უმი 150 საწოლით, 1946 წელს—სააბაზანო შენობა 28 ინდი-
ვიდუალური კაბინით, რამაც სათანადო პირობები შექმნა
მეცნიერული მუშაობისა და ავადმყოფთა მკურნალობისა-
თვის.

კურორტ მენჯში სამკურნალოდ ჩამოსულ ავადმყოფთა
სისტემატური აღრიცხვა დაიწყო 1930 წ. უნდა ითქვას, რომ
პირველ წლებში არ წარმოებდა ზუსტი აღრიცხვა და ავად-
მყოფთა რიცხვი აღემატებოდა ქვემოთ მოყვანილ აღრიცხვას.

1930 წელს მენჯში მკურნალობდა 300-დე ავადმყოფი,
1931 წელს—800 ავადმყოფი, 1932—1500, 1933 წელს კი—
4800; 1935 წელს ავადმყოფთა რიცხვი 6500 მიაღწია. 1940
წელს მენჯში მკურნალობდა 10.000-ზე მეტი ავადმყოფი.

ომის დამთავრების შემდეგ მენჯში ჩამოსულ ავადმყოფთა
რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება. 1946 წელს მენჯის სანა-
ტორიუმში და პოლიკლინიკაში გატარდა 1550 ავადმყოფი.
1946 წლიდან 1952 წლის სეზონის ჩათვლით მენჯმა მომსა-
ხურება გაუწია 40.000-მდე ავადმყოფს.



მენჯში სამკურნალოდ ჩამოდიან ჩვენი ქვეყნის სხვადასწუხული კუთხეებიდან და ისეთი დაშორებული რაიონებიდანაც კი, როგორიცაა შორეული აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი.

ამჟამად მენჯი წარმოადგენს საკმარისად კეთილმოწყობილ კურორტს, სადაც ყველა შესაძლებლობა არსებობს ავადმყოფთა მკურნალობისა და კულტარული მომსახურებისათვის.

მენჯს ამშვენებს კარგად მოწყობილი 150 საწოლიანი სანატორიუმის სამსართულიანი ლამაზი შენობა მრავალი აივნით, ნათელი ოთახებით, ფოიეთი.

ავადმყოფებს მომსახურებას უწევს ბალნეოტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აშენებული ახალი სააბაზანო კორპუსი, რომელიც ძლიერ წაგავს წყალტუბოსა და მაცესტის ასეთივე შენობებს. სააბაზანო შენობა იძლევა მინერალური წყლების მთელი წლის განმავლობაში გამოყენებისა და ამავე დროს მეცნიერული მუშაობის ფართოდ გაშლის საშუალებას.

კურორტის პოლიკლინიკა ყოველგვარ საეჭიმო დახმარებას უწევს სამკურნალოდ ჩამოსულებს.

მენჯში დღიური ხანია მუშაობს ამიერკავკასიის რკინიგზის სანატორიუმი.

ამჟამად დამთავრების ფაზაშია კოლხიდმშენის სანატორიუმის მშენებლობა.

მენჯის კეთილმოწყობის საქმე სწრაფი ნაბიჯით მიღის წის; შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში ჩატარებულმა სამუშაოებმა სრულიად შეცვალა კურორტის სახე.

მენჯის შემდგომი განვითარების გენერალური გეგმით გათვალისწინებულია დიდი სოციალისტური კურორტის მოწყობა.

მენჯის გაფართოება მოხდება უმთავრესად ქ. ცხაკაიას მხარეს და ეკის მთის ფერდობებზე. ახლო მომავალში აშენებული იქნება მთელი რიგი სამედიცინო დაწესებულებები, კლანიკური სანატორიუმი 150 საწოლით, მეორე სააბაზანო შენობა, დიდი შენობა პოლიკლინიკისათვის. გეგმით გათვალისწინებულია მდ. ცივის კალაპოტში დიდი აუზის მოწყობა და თერმეტი სანატორიუმის აგება.



კურორტს ექნება თავისი პარკი, კურზალი, პავილინი და მანეჯერი, კონცერტებისა და კინოსათვის, ესტრადა, წიგნთსაცავი-სამ-კითხველო, კავშირგაბმულობის სახლი, რესტორანები და სხვ-გზა, რომელიც ამჟამად გადის კურორტის შუაგულში, და-ტოვებული იქნება მხოლოდ კურორტის დაწესებულებათა მომსახურებისათვის; მის მაგივრად, კურორტიდან დაშორებით გაყვანილი იქნება ახალი გზატკეცილი.

ახლო მომავალში გათვალისწინებულია კურორტის ტერა-ტორიაზე ღრმა ბურღვის ჩატარება მინერალური წყლის დეპა-ტის გადიდებისა და აგრეთვე არსებული წყლის რესურსების ერთ ადგილას შეკრების მიზნით.

სპეციალისტების აზრით, მენჭის რაიონში ღრმა ბურღვის შედეგად შესაძლებელი იქნება მაღალი ტემპერატურის ცაი-შის ანალოგიური მინერალური წყლის მიღება. ამით გადაწყ-დება არსებული მინერალური წყლის გათბობის პრობლემა.

აღნიშნული გეგმის განხორციელება სრულიად შეცვლის მენჭის დღევანდელ სახეს და იგი გადაიქცევა ნამდვილ სოცია-ლისტურ კურორტად, მშრომელთა ჯანმრთელობის სამ-ჭედლოდ.



ჰ ა ვ ე




კურორტი მენჯის კლიმატურ პირობებს განსაზღვრავს კოლ-
ხეთის დაბლობის ცენტრის, ზღვისა და სამეგრელოს ქედის
სიახლოვე¹.

კურორტის მიკროკლიმატის შექმნაში დიდი მნიშვნელობა
ენიჭება ჩრდილოეთით მოსაზღვრე ეკის მთას.


ზღვის სიახლოვე, უპირველეს ყოვლისა, გავლენას ახდენს
კურორტის ქარების რეჟიმზე. აქ თავისუფლად აღწევს ზღვის
ნიავი, რომლის მოქმედების ქვეშ მენჯი იმყოფება წელიწადის
თბილ პერიოდში, ხოლო დღე-ღამის განმავლობაში—დღის
უდიდეს ნაწილში. ნიავის სისწრაფე აღწევს 3—4 მეტრს
წამში. ამ რაიონში მას მოაქვს სიგრილე და ზღვის კლიმატის
ელემენტები, რაც დადებითად მოქმედებს აღამიანის ორგა-
ნიზმზე.

მეორე მხრივ, კურორტის რაიონი ექცევა ფიონური ხასია-
თის ატმოსფერული დინების გავლენის ქვეშ, რომელიც კავკა-
სიონიდან ზღვის მიმართულებით ჰქონის უმთავრესად ზამთრო-
ბით, ზოგჯერ ზაფხულობითაც. ეს ქარები მშრალი და თბილია,
მათი მოქმედება—ხანგრძლივია. ფიონები ამცირებენ ჰაერის
ტენიანობას, რითაც იზრდება კურორტის კლიმატის ღირებუ-
ლება. მენჯის საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის 14°C :
ცავი თვის საშუალო ტემპერატურა შეადგენს $+4^{\circ}$, თბილი
თვის $+23^{\circ}$. ზამთრობით ყინვები მეტად იშვიათია; წელიწადში
ყინვებიანი დღეების რიცხვი შეადგენს 16. ზოგიერთ წლებში
ყინვა— 15° აღწევს. მაქსიმალური ტემპერატურა ზაფხულის
თვეებში იშვიათად აღის 40° . ზაფხულიდან ზამთრისაკენ, და
პირუკუ, ტემპერატურა თანდათანობით იცვლება. კლიმატური
რეჟიმის მიხედვით მენჯი ზღვის ტიპის კურორტია.

¹ კურორტ მენჯის ჰავის დახასიათება მოცემულია დოც. ჭირაქაძის მო-
ნაცემების მიხედვათ.



მენჯი. ახალი სანატორიუმი.





ეროვნული
ბიბლიოთეკი



მენჯი. მინერალური წყარო მდინარე ცივის ნაპირზე.

კურორტ მენჯში ატმოსფერული ნალექების წლიური კუნძული აღწევს საშუალოდ 1200—1300 მმ. ნალექთა რაოდენობა ყველაზე მეტია შემოდგომისა და ზამთრის თვეებში, ყველაზე ნაკლები—გაზაფხულსა და ზაფხულში; ნალექი უმთავრესად წვიმების სახით იცის, თოვლი კი ნაკლებად მოდის. წვიმიანი დღეების რიცხვი წელიწადში შეადგენს 145.

მზიანი საათების რიცხვი წლის განმავლობაში უდრის 2.200. ზაფხულობით დღის განმავლობაში საშუალოდ იგი შეადგენს 8—8,5 საათს. ასეთი ხანგრძლივი მზიანობა, სხვა მონაცემებთან ერთად, ხელსაყრელ პირობებს ქმნის მზით მკურნალობისათვის.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ კურორტ მენჯის კლიმატური პირობები მეტად ხელსაყრელია ავადმყოფთა მკურნალობისათვის.



ფლორა და ფაუნა



მენჯის ფლორა და ფაუნა დამახასიათებელია შავი ზღვის სანაპიროსათვის. ეკის ქედი კურორტის ტერიტორიაზე დაფარულია საკმაოდ ხშირი ტყით, რომელიც შედგება უმთავრესად რცხილისაგან. დაბლობში უმთავრესად თხმელაა, მაგრამ აქვე ხშირად გვხვდება სხვა ჭიშის ხეებიც. კლიმატური პირობები მცენარეულობის სუბტროპიკული ჭიშების გაშენების საშუალებას იძლევა. ხშირად ვხვდებით დაფნას, თითქმის ყველა საკარმილამო ფართობზე გაშენებულია მანდარინის ბალი, უფრო იშვიათად — ლიმონი და ფორთოხალი. აქა-იქ გაშეხებულია ბანანი, რომელსაც ძირითადად დეკორაციული მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი ნაყოფი აქ არ მწიფდება. ქ. ცხაკაიას ქუჩებსა და ბალებში დარგულია მუდმივმწვანე ქაფურის ხე, ევკალიპტი, პალმები, აგავა, პირამიდული კიპარისები, ტუია, ლერწამი და სხვ.

მენჯის რაიონში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული მეგანახეობას; უფრო მეტად გავრცელებულია ვაზის საღვიწე ჭიშები. ყველგან იზრდება ხეხილი; ხილი უპირატესად საზაფხულო ჭიშისაა, მსხვილი და წვნიანი. კარგად მწიფდება საზამთრო, ნესვი, სხვადასხვა ჭიშის გოგრა, კიტრი, პამიდორი და სხვ. სიმინდის მოყვანა ფართოდ არის გავრცელებული.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგ დიდი ყურადღება მიექცა ძვირფასი კულტურების მოშენებას. მენჯის მიდამოს მინდვრები დაფარულია ჩაის პლანტაციებით. მეზობელ სოფელ ხორშში არის ეთერ-ზეთოვანი კულტურის საბჭოთა მეურნეობა.

მენჯის მიდამო ღარიბია გარეული ფრინველებით; მოშორებულ სოფლებში გვხვდება ხოხობი, კაკაბი, გარეული იხვი, მწყერი და სხვ. იგივე ითქმის გარეული ცხოველების შესა-



ხებაც. მხოლოდ კოლხეთის ტყეში, რომელიც მენჯს სამხრულად
თით აკრავს, გვხვდება მგელი, ტურა, მელა, გარეული ლორი,
შველი; კურდღელი კი ყველგანაა.
მდინარეები მდიდარია თევზით.




მინერალური წყლების ფიზიკურ-ქიმიური დახასიათება

მენჯის რაიონის პირველ გეოლოგიურ აღწერას და ცნობას მინერალური წყლების შესახებ ვხვდებით 1875 წელს გამოცემულ შრომაში: „Материалы для геологии Кавказа“.¹ შემდეგში სამეგრელოს გეოლოგიური გამოკვლევები, მენჯის ტერიტორიის ჩართვით, წარმოებული იყო გეოლოგების ბ. მეფერტის და ი. კაჭარავას მიერ.


1933 წელს საქართველოს მთავარ საკურორტო სამმართველოს დავალებით კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ მენჯის ტერიტორიაზე დაწყებული იყო ჰიდროგეოლოგიური გამოკვლევები (დ. კაჭარავა, მ. ფალავა). მომდევნო წლებში ჩატარებული ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების შედეგად საკმაოდ იქნა შესწავლილი მენჯის რაიონი. 1933 წელს ი. კაჭარავამ ჩატარა გეოლოგიური აგეგმვა კირქვიანი ზოლისა, რომელშიც მოექცა ცაიშის, ბიის, მენჯისა და ნოქალაქევის მინერალური წყლების ფართო ზოლი. ჩატარებული მუშაობიდან გამოირკვა, რომ კოლხეთის ველის დიდ სივრცეზე მოთავსებულია მინერალური წყლის დიდი საბადო, რომელიც ზედაპირზე ამოდის კურორტის უბანში მტკნარი კარსტული წყლის ზემოქმედებით.

მენჯის მინერალური წყლის გამოსავალი იმყოფება მდ. ცივის მარცხენა ნაპირზე. პირველად აღმოჩენილი მინერალური წყალი გამოდიოდა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თვით მდ. ცივის კალაპოტში (№ 1 წყარო); აქვე იყო მოწყობილი პირველი აბაზანა. შემდეგში კი გაკეთდა ბეტონის აუზი და დაგროვილი მინერალური წყალი მიღებით მიღიოდა ძველ

¹ С. Симонович, А. Бацевич, А. Сорокин. Материалы для геологии Кавказа. 1875 г., стр. 100—119.




შეფის ციხე მენჯის მახლობლად.





მრავალწლიანი ჩინარი ძველ-სენაკში.





სააბაზანო განყოფილებაში; ასე იყო 1946 წლამდე. შემდეგ გამოსავალი გაუქმებულ იქნა.

№ 2 და № 3 წყაროები მდებარეობს პირველის გვერდით და ისე, როგორც № 1 წყარო, ხასიათდება მცირე დებიტით. № 8 წყარო მდებარეობს კურორტის სამხრეთით, მდინარე ცივის მარცხენა ნაპირზე. იგი ცნობილია მოსახლეობაში როგორც „კუჭის წყალი“ და მას ხმარობენ კუჭ-ნაწლავის ზოგიერთი დაავადების დროს.

№ 4, № 8 და № 10 ჭაბურღილები მდებარეობენ მდ. ცივას მარცხენა ნაპირზე მინერალური წყლის შემკრებ აუზსა და წისქვილს შორის.

მინერალური წყლის საერთო დებიტი ამჟამად შეადგენს 200.000 ლიტრს დღე-ლამეში; იგი სრულიად აკმაყოფილებს კურორტის მოთხოვნილებას.

460 მინერალური წყლის მთელი საჭირო რაოდენობა გროვდება შემკრებ აუზში და აქედან ტუმბოს საშუალებით აღის 13 მეტრის სიმაღლეზე მოწყობილ ხის კასრებში. აქედან წყალი თვითდინებით მიღის საქვაბე განყოფილებაში, საღაც თბება ხის „ბოლერებში“, შედის სააბაზანო შენობაში და ნაწილ-დება კაბინებში.

მომავალში გათვალისწინებულია მინერალური წყლის ექსპლოატაციის ზემოაღწერილი წესის შეცვლა; განზრახულია მინერალური წყლის მთელი რესურსის თავის მოყრა სააბაზანო განყოფილების ეზოს ღრმა ჭაბურღილში და მისი გათბობა ბუნებრივი ცხელი წყლით, რომელიც მიღებული იქნება იქვე დიდი სილრმიდან.

შენჯის წყალი ეკუთვნის სამკურნალო მინერალურ წყლებს. მედიცინაში წყალს მაშინ უწოდებენ მინერალურს, როდესაც მისი ერთი ლიტრი შეიცავს არანაკლებ 1 გრამ მკვრივ ნივთერებას. ნაკლები მინერალიზაციის შემთხვევაშიც შეიძლება წყალს ეწოდოს მინერალური, თუ მასში გახსნილია ძლიერ-მოქმედი ნივთიერება, როგორიცაა, მაგალითად, დარიშხანა, რკინა, რადიაქტიური ნივთიერებები ან თუ იგი შეიცავს აირს—ნახშირორუანგს, გოგირდწყალბადს და სხვ.

2. მუნჯი



საჯარო
გიგანტი

ითვლება აგრეთვე მინერალურად, თუნდაც მისი მინერალური
შემადგენლობა უმნიშვნელო იყოს, იმ შემთხვევაში, როდესაც
მისი ბუნებრივი ტემპარატურა აღემატება 20° .

მენჯის მინერალური წყალი ეკუთვნის გოგირდწყალბადიანი
ქლორ-ნატრიუმიანი წყლების ჯგუფს; ის შეიცავს გოგირდ-
წყალბადს $40-70$ მგ რაოდენობით ერთ ლიტრ წყალში, რაც
სავსებით საკმარისია სამკურნალო მიზნებისათვის. მასში არის
სხვა აირებიც—აზოტი, ნახშირორუანგი, მეთანი. მენჯის წყალი
თითქმის არ შეიცავს სულფატებს—გოგირდმჟავა მარილებს.
წყლის მინერალიზაცია (ე. ი. სხვადასხვა მარილის რაოდენობა
ერთ ლიტრ წყალში) უდრის $5-14$ გრამს. წყლის ტემპერა-
ტურა ცალკე წყაროების მიხედვით მერყეობს $17-დან 22^{\circ}$ -
მდე. მინერალური წყლის რაღიაქტიობა აღწევს $1,8-დან 3,8$
მახეს ერთეულამდე.

მენჯის მინერალური წყლის პირველი ანალიზი ეკუთვნის
ქიმიკოს რ. კუპცისს (1927 წ.), რომელმაც მას ქიმიური
შემადგენლობის მიხედვით „საქართველოს მაცესტა“ უწოდა.
მომდევნო წლებში ამ წყლის ანალიზი გაკეთებული აქვს
პროფ. შალამბერიძეს, დოც. შარაშენიძეს. შემდეგ წყლის ქი-
მიურ შემადგენლობას და ფიზიკურ თვისებებს სისტემატუ-
რად თვალყურს ადევნებდა საქართველოს სსრ კურორტოლო-
გიის ინსტიტუტი. მენჯის მინერალური წყალი მრავალჯერ
აქვს შესწავლილი ქიმიკოს ვ. ულუხანოვს.

ქვემოთ მოგვყავს მენჯის მინერალური წყლის ფიზიკურ-
ქიმიური გამოკვლევის შედეგები (ულუხანოვის მიხედვით) და
მენჯისა და მაცესტის მინერალური წყლების შემადგენლობის
შედარებითი ცხრილი (რ. კუპცისის გამოკვლევის მიხედვით).

როგორც მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, მენჯის მინერა-
ლური წყალი ქიმიურ-ფიზიკური თვისებების მხრივ წარმოად-
გენს მაცესტის ანალოგს. თუმცა მენჯის წყალში გოგირდ-
წყალბადი, მაცესტასთან შედარებით, მცირეა, მაგრამ, რო-
გორც მრავალი დაკვირვება გვიჩვენებს, გოგირდწყალბადის
ასეთი რაოდენობაც საკმარისია სამკურნალო ეფექტისათვის.


მენჯის მინისტრალური წყლების ანალიზი

იონები	ჭაბურღილი № 4			ჭაბურღილი № 10		
	გრ. 1 ლიტ.	გ/მკ %	გ/მკ %	გრ 1 ლიტ.	გ/მკ %	გ/მკ %
ამონიაკი NH ₄ . . .	0,0025	0,14	0,15	0,0050	0,27	0,21
კალიუმი K	0,0331	0,84	0,92	0,11 0	2,91	2,29
ნატრიუმი Na' . . .	1,8498	80,44	88,22	2,6414	114,86	89,23
კალციუმი Ca' . . .	0,1201	5,99	6,57	0,1222	6,11	4,74
მაგნიუმი Mg" . . .	0,0452	3,72	4,08	0,0522	4,29	3,34
რკინა Fe	0,0015	0,05	0,06	0,0070	0,25	0,19
	—	91,18	100	—	128,72	100
ჰლორი Cl"	2,9786	84,00	92,16	4,2821	120,76	98,91
სულფატი SO" . . .	0,0051	0,10	0,11	0,0046	0,09	0,07
ბრომი Br'	—	—	—	0,0052	0,06	0,05
იოდი I'	0,004	0,003	—	0,0018	0,01	0,01
ჰიდროკარბონატი						
HCO ₃ '	0,4300	7,05	7,73	0,1758	7,80	6,06
	—	91,153	100	—	128,72	100
ალუმინის ჟანგი Al ₂ O ₃	0,0100	—	—	0,0062	—	—
კაჟის მჟავა H ₂ SiO ₃	0,0488	—	—	0,0461	—	—
საერთო ტიტრირებული გოგირდი გამოხატული bH ₂ S .	0,0310	—	—	0,0415	—	—
შშრალი ნარჩენი .	5,3250	—	—	7,5315	—	—
კურლოვის Cl'92 ფორმულა $\frac{\text{Cl}'92}{\text{Na}88}$	t 18,9°C	H ₂ SO ₄ 0,415 M	7,7	$\frac{\text{Cl}'94}{\text{Na}89}$	t 20,5°C	

მენჯისა და მაცესტის მინერ. წყლების შედარებითი ტაბულა

იონები	მენჯი ჭაბურღლილი № 11 ანალიტიკოსი ვ. ულუხანოვი			მაცესტა, ჭაბურღლ. № 4 ანალიტიკოსი ვ. ბახმანი		
	გრ.	მ/მკ	მ/მკ %	გრ	მ/მკ	მ/მკ %
ჰლორი Cl' . . .	7,8998	222,500	93,31	7,3060	206,03	95,03
ბრომი Br' . . .	0,0125	0,156	0,06	0,0222	0,28	0,13
იოდი I'	0,0020	0,016	0,01	0,0011	0,01	—
სულფატი SO ₄ ' . .	0,0032	0,066	0,03	0,0024	0,07	0,03
სულფიტი SO ₃ " . .	0,0004	0,010	0,005	0,0002	0,005	—
თიოსულფატი S ₂ O ₃	0,0005	0,009	0,005	0,0010	0,02	0,01
ჰიდროსულფიდი HS'	0,0300	0,907	0,39	0,1107	3,25	1,60
ჰიდროკარბონატი HCO ₃ ' . . .	0,4495	7,267	3,19	0,1285	7,02	3,20
	—	231,031	100	—	216,79	100
ამონიუმი NH ⁺ " . .	0,0025	0,138	0,06	0,0101	0,56	0,20
კალიუმი K" . . .	0,2020	5,166	2,23	0,1794	4,59	2,10
ნატრიუმი Na" . .	4,7660	207,244	89,70	3,8240	166,28	76,70
კალციუმი Ca" . .	0,1836	9,162	3,97	0,5771	28,80	13,30
მაგნიუმი Mg" . .	0,1110	9,128	3,95	0,2014	16,56	7,60
რკინა Fe" . . .	0,0054	0,123	0,09	—	—	—
	—	231,031	100	—	216,79	100
ალუმინის ჟანგი . .	0,0022	—	—	—	—	—
კაუის მუავა . . .	0,0555	—	—	0,0148	—	—
მეტაბორული მუავა	0,0020	—	—	—	—	—
ნახშირის ანდრიდი	0,0633	—	—	0,1140	—	—
გოგირდწყალბადი	—	—	—	—	—	—
თავისულფალი . .	0,296	—	—	0,1557	—	—
	13,8150	—	—	12,9196	—	—
საერთო ტიტრირებული გოგირდი გამოხატული H ₂ S-ში	0,0610	—	—	0,2697	—	—

კურლულვის H₂S 0,051M 13,8 Cl' 96/Na 90 t 21,7°H₂S 0,156 M 12,7 Cl' 59/Na 77 t 26,4°




მდინარე ტეხურის დაბლობის ხედი.

საქართველო
სახელმწიფო
მუზეუმი



ეროვნული
ბიблиოთეკა



ძველი ციხის კედელი ნოქალაქევში.

• მაგალითად, სადიკოვის დაკვირვებით, წყალი შეიძლება ჩამო-
თვალოს მინერალურად და სამკურნალოდ, თუ ერთი ლიტრი
შეიცავს 20—30 მგ გოგირდწყალბადს; პროფ. კურლოვის
მიხედვით ეს ციფრი შეიძლება უფრო ნაკლებიც იყოს—10 მგ
და წყალს მაინც სამკურნალო თვისება ჰქონდეს.

თავისუფალი გოგირდწყალბადი წარმოადგენს აირს, რომე-
ლიც შედგება წყალბადის ორი ატომისაგან და გოგირდის
ერთი ატომისაგან; მისი ჭიმიური ფორმულაა H_2S . ლაჟე-
კვერცხის სუნი, რომელიც ვრცელდება ასეთი წყაროს ირგვ-
ლივ, დაკავშირებულია გოგირდწყალბადთან.

მენჯის მინერალური წყლის წარმოშობის შესახებ ჯერ-ჯე-
რობით შეიძლება გამოთქმულ იქნეს მხოლოდ დაუსაბუთებე-
ლი მოსაზრება. საზოგადოდ, ბუნებაში ცნობილია გოგირდ-
წყალბადის ორგვარი წარმოშობა: როდესაც იგი წარმოიშვება
ჭიმიური გზით დედამიწის სიღრმეში და იქიდან სხვადასხვა
ნაპრალით ამოვა მის ზედაპირზე. მეორე გზა წმინდა ბიოლო-
გიურია: ერთგვარი მიკროორგანიზმები ე. წ. მიკროსპირები
ზღვის სიღრმეში განუწყვეტლივ შლიან ზღვის წყლის გოგირდ-
წყალბადის მარილებს და აქცევენ გოგირდწყალბადად; ეს აირი კი ნა-
პრალებით აღწევს დედამიწის ზედაპირს. მაცესტის გოგირდ-
წყალბადიანი მინერალური წყლების წარმოშობის შესახებ
ზოგიერთი დასაშვებად თვლის, რომ მაღლობის ატმოსფერუ-
ლი ნალექები ჩადის დედამიწის სიღრმეში, აქ ხანგრძლივი
ფიზიკურ-ჭიმიური და ბიოჭიმიური პროცესების შედეგად
ითვისებს მარილებს და აირებს და შემდეგ ზედაპირზე ამო-
დის ნაპრალების საშუალებით. ეს პროცესი განუწყვეტლივ
გრძელდება. შესაძლებელია მენჯის გოგირდწყალბადი ასეთი-
ვე წარმოშობისაა, რადგან მას მაცესტასთან ბევრი მსგავსე-
ბა აქვს.



სამკურნალო ფაქტორები

ამა თუ იმ კურორტზე მკურნალობის შედეგად მიღებული თერაპიული ეფექტი წარმოადგენს მრავალი სამკურნალო ფაქტორის ერთობლივი (კომპლექსური) მოქმედების შედეგს.

კურორტის სამკურნალო ფაქტორებს ეკუთვნის: კლიმატი, მინერალური წყლის, ტალახის და ზღვის აბაზანები, მდინარეები ბანაობა, მზის და ჰაერის აბაზანები, მინერალური წყლის სიმა, აგრეთვე სამკურნალო კვება, სამკურნალო ფიზკულტურა და სხვ. ჩამოთვლილ ფაქტორთა უმრავლესობა გააჩნია ყოველ კურორტს, მაგრამ წამყვანი სამკურნალო მნიშვნელობა აქვს ერთს ან რამდენიმე მათგანს. მაგალითად, ბორჯომი ძირითად განთქმულია თავისი იშვიათი მინერალური სასმელი წყლით, ასევეა ჭავა, საირმე, სკური; რაღიაქტიურია წყაროებმა წყალტუბოს მსოფლიო სახელი მოუხვეჭეს; ახტალა ცნობილია თავისი სამკურნალო ტალახით; ბაკურიანი, ცემი, წალვერი, აბასთუმანი, ბახმარო, ლებარდე ცნობილი არიან, როგორც იშვიათი სამთო კლიმატური კურორტები; ამ კურორტებზე მკურნალობის დადებითი ეფექტი მრავალი სამკურნალო ფაქტორის კომპლექსური მოქმედების შედეგია. მიუხედავად ამისა, ამ ფაქტორთა შორის შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ფაქტორი, რომელთაც წამყვანი როლი ენიჭებათ ავადმყოფთა მკურნალობის საქმეში. ეს ფაქტორები წარმოადგენენ კურორტის სპეციფიკას და ძირითადი ყურადღება მათ მაქსიმალურ გამოყენებას ეჭცევა.

ამ ფაქტორების ზეგავლენით ხდება ორგანიზმის „გადახალისება“, „გამაგრება“, მისი დამცველი ძალების გაძლიერება, შრომისუნარიანობის მომატება და სხვა, რასაც მოყვება ავადმყოფის განკურნება, დაავადების შეჩერება, ან შენელება.

თავისთავად იბადება კითხვა: როგორ, რა გზით მოქმედებს სამკურნალო ფაქტორები ორგანიზმზე?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის, საჭიროა მოკლედაშეუძლებელი კეხოთ ადამიანის ფიზიოლოგიის ზოგიერთ საკითხს და დიდი რუსი ფიზიოლოგის ივანე პავლოვის შრომებს.

ი. პავლოვი განიხილავს ორგანიზმს, როგორც ერთიან, მთლიან სისტემას როგორც თავისი აღნაგობის, ისე ცხოველშოქედების მხრივ. მთლიანობა შეეხება არა მარტო ორგანიზმის ცალკეულ სისტემებს, არამედ გარემოსთან დამოკიდებულებასაც. ეს კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება მყარდება ნერვული სისტემის საშუალებით; ამასთან, წამყვან როლს ასრულებს თავის ტვინის ქერქი. მას განუწყვეტლივ მოსდის სიგნალები ურიცხვი ნერვული აპარატის ე. წ. რეცეპტორებიდან (ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილებიდან—ინტერორეცეპტორების საშუალებით, გარე სამყაროდან—ექსტერორეცეპტორების საშუალებით). მოსული სიგნალების შედეგად, თავის ტვინი აწესრიგებს ორგანიზმის მოქმედებას, მისი ყველა ნაწილის შეთანხმებულ მუშაობას. ამასთანავე, შინაგან ორგანოებში ვითარდება ცვლილებები, რომელთა შედეგად მყარდება ორგანიზმის მიზანშეწონილი შეგუება გარე სამყაროსთან.

კურორტული ფაქტორები ორგანიზმზე მოქმედებენ ამ ინტერო-და ექსტერორეცეპტორების საშუალებით.

კურორტის მშვენიერი ბუნება, თვალწარმტაცი ხედები, ბუმბერაზი მთები, თვალუწვდენელი ზღვის სივრცე მოქმედებს ორგანიზმის მხედველობის ორგანოს რეცეპტორებზე, რომელიც გალასცემს სიგნალებს თავის ტვინის ქერქს და დამამშვიდებელ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. ასევე მოქმედებს ადამიანის სმენის ორგანოს საშუალებით მთის მდინარეების და ნაკადულების ჩუხჩუხი, ტყეში და ბალებში ფოთლების სასაბორვნო შრიალი, ფოინველთა ურიამული და სხვ.

ამრიგად, კურორტზე მკურნალობის დადებითი ეფექტი წარმოადგენს კურორტული ფაქტორების ერთობლივი გავლენის შედეგს თავის ტვინის ქერქზე და აქედან მთელ ორგანიზმზე.

მენჯი ეკუთვნის იმ კურორტთა რიცხვს, რომელთაც მრავალ შემთხვევაში სამკურნალო ფაქტორი გააჩნიათ; მაგრამ ყურადღებას იგი იპყრობს მინერალური გოგირდწყალბადიანი წყლით.

საზოგადოდ, გოგირდს დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმისათვის; ის შედის ცილოვან ნივთიერებათა შემაღენლობაში; ცილა კი ცოცხალი უჯრედის საფუძველია. გოგირდი ორგანიზმი ჩვეულებრივად შედის საჭმელთან ერთად, ძირითადად ორგანული ნაერთებისა და აგრეთვე არაორგანული მარილების სახით. ნაწლავებიდან გოგირდი შეიწოვება და ხმარდება ორგანიზმს; დადგენილია, რომ ზოგიერთი დაავადების დროს (რევმატიზმი, ათაშანგი) ორგანიზმი კარგავს გოგირდის დიდ რაოდენობას და იგი განიცდის „გოგირდით სილარიბეს.“ ასეთ შემთხვევებში გოგირდის აბაზანები ავსებენ ამ დანაკარგს, აწესრიგებენ გოგირდის ცვლას. მენჯის აბაზანების მიღების დროს უეჭველად ხდება ორგანიზმის მიერ გოგირდის შეთვისება, მაგრამ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს თვით გოგირდწყალბადის აირის გავლენას ორგანიზმების.

გოგირდწყალბადიანი აბაზანის მიღების დროს ადამიანს, როგორც წესი, უვითარდება „გაწითლების რეაქცია“; აბაზანაში ყოფნის 2—3 წუთის შემდეგ კანზე ჩნდება სიწითლე, რომელიც თანდათანობით ძლიერდება და 10—12 წუთის შემდეგ აღწევს მაქსიმუმს. ამავე დროს ადამიანი წყლის ტემპერატურაზე უფრო მეტ სითბოს შეიგრძნობს. აბაზანიდან ამოსვლის შემდეგ სიწითლე ჩქარა იწყებს კლებას და 3—4 წუთის შემდეგ სრულებით ქრება.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთივე ხასიათის, მაგრამ ნაკლები ინტენსივობის რეაქციას იწვევს ნახშირმჟავა აბაზანებიც.

„გაწითლების რეაქცია“ გამოწვეულია გოგირდწყალბადით, ხოლო მისი ინტენსივობა დამოკიდებულია ამ აირის კონცენტრაციისაგან. ამავე დროს მნიშვნელობა აქვს წყლის ტემპერატურას და აბაზანის ხანგრძლიობას. რასაკვირველია, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული თვით ორგანიზმის თავისებურებანიც.

როდესაც გოგირდწყალბადის კონცენტრაცია ერთ წყალში არ აღემატება 66—70 გ, „გაწითლების რეაქცია“, შეიძლება არც კი იქნეს გამოხატული; მაგრამ, როგორც დამტკიცებულია, გოგირდწყალბადიანი აბაზანები თავის ეფექტიანობას არ კარგავენ ამ აირის კიდევ უფრო ნაკლები რაოდენობით შემცველობის დროსაც.

გაწითლების რეაქციის განვითარებაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს მინერალური წყლის სხვა შემადგენელ ნაწილებსაც, განსაკუთრებით სუფრის მარილს. მენჯის ერთ ლიტრ მინერალურ წყალში სუფრის მარილის რაოდენობა შეადგენს 8,4 გ, რაც ფიზიოლოგიური ხსნარის კონცენტრაციას უდრის. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ასეთ ხსნარში გოგირდწყალბადის მოქმედება ძლიერდება. თუ ადამიანს გაუკეთებთ გოგირდწყალბადის ერთი და იგივე რაოდენობის შემცველ უბრალი წყლისა და ზღვის წყლის აბაზანას, უკანასკნელი უფრო ძლიერ გაწითლების რეაქციას გამოიწვევს, ვიდრე პირველი.

დამტკიცებულია, რომ აბაზანების მიღებისას, გოგირდწყალბადი ორგანიზმში ხვდება კანის გზით და აგრეთვე სასუნთქი გზებითაც, ვინაიდან სააბაზანო შენობის ჰაერი ყოველთვის შეიცავს აირის ამა თუ იმ რაოდენობას.

ორგანიზმში კანიდან გოგირდწყალბადის შესვლის შესაძლებლობა დამტკიცებული იყო ცხოველებზე ჩატარებული ცდებით (ვერზილოვი). შინაურ კურდღლებს კანქვეშ სხვადასხვა სიღრმეზე წინასწარ უდებდნენ ვერცხლის პატარა-ფირფიტებს. კანის შეხორცების შემდეგ კურდღლებს ათავსებდნენ მაცესტის გოგირდწყალბადიან აბაზანაში და შემდეგ სინჯავდნენ ვერცხლის ფირფიტებს. კანქვეშ ჩაკერილი ფირფიტები გოგირდწყალბადის ზეგავლენით გაშავებული აღმოჩნდა.

კანიდან გოგირდწყალბადის შეწოვის ფაქტი დამტკიცებული იყო შემდეგი დაკვირვებითაც. ადამიანს წინდაწინ უკეთებდნენ ნიღაბს, რაც სავსებით გამორიცხავდა სასუნთქი გზით გოგირდწყალბადის შესვლის შესაძლებლობას ორგანიზმში. შემდეგ ნიღაბიან ადამიანს სვამდნენ გოგირდწყალ-

ბადიან აბაზანაში და სინჯავლნენ მის მიერ ამოსუნთქულ
ჰავა კარგი განვითარებულ მისამართი არ არის. ცხადია, გოგირდწყალბა-
დი იქ შესაძლებელია მოხვედრილიყო მხოლოდ კანიდან
შეწოვის შემდეგ.

აქედან აშკარაა, რომ როგორც მაცესტაში, ისე ანალოგიურ
კურორტებზე (მათ შორის მენჯშიც) აბაზანების მიღების დროს
ორგანიზმში გოგირდწყალბადი შედის კანიდან.

ორგანიზმში გოგირდწყალბადის სასუნთქი სისტემით მოხ-
ვედრის შესაძლებლობა საკმარისად დიდია, რაღაც ფილტვებს
დიდი სასუნთქი ფართობი აქვთ. ეს ფართობი უდრის დაახლოე-
ბით 100 მ^2 , ე. ი. 70-ჯერ მეტია, ვიდრე მთელი სხეულის
ზედაპირი. ადამიანის სუნთქვის დროს ამ ვრცელ ფართობს
უშუალოდ ეხება გოგირდწყალბადით გაუღენთილი სააბაზანო
შენობის ჰაერი.

გოგირდწყალბადი ორგანიზმიდან გამოიყოფა ამოსუნთქულ
ჰაერთან ერთად და აგრეთვე თირკმლების საშუალებით, მაგ-
რამ უკვე არა აირის, არამედ მარილების — სულფატების
სახით.

გოგირდის ნაწილაკებს ორგანიზმი იყენებს თავისი მიზნე-
ბისათვის, განსაკუთრებით გოგირდის ნაკლებობისას, რასაც
ადგილი აქვს ზოგიერთი დაავადების დროს.


გოგირდწყალბადიანი აბაზანებით მკურნალობის ეფექტში,
გოგირდწყალბადის გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს, უპირვე-
ს ყოვლისა, წყლის ტემპერატურას; თბილი აბაზანები ამ-
შვიდებენ ნერვულ სისტემას, რეცეპტორები კანიდან გადასცე-
მენ იმპულსებს თავის ტვინის ქერქს, რის შედეგადაც უმჯობეს-
დება ძილი, ორგანოებისა და ქსოვილების მუშაობა და სხვ.
მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია წყლის ჰიდროსტატიკური
დაწოლა სხეულზე, რაც გავლენას ახდენს ორგანიზმში სისწ-
ლის განაწილებაზე, სისხლის წნევაზე, სუნთქვაზე და, მაშასა-
დამე, მთელ ორგანიზმზე.

მენჯის აბაზანები იწვევს ბალნეოლოგიურ რეაქციებს. ეს
საკითხი შესწავლილია ა. უღენტის მიერ (1935 წ.). გამოირჩა,
რომ მენჯის აბაზანებით მკურნალობის დროს შემთხვევათა

68% ალინიშნება საშუალო ან სუსტი ხარისხის ბალნეოლოგიური ური რეაქცია, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში იწყება მეოთხე-მეხუთე აბაზანის შემდეგ, გრძელდება 2—3 დღე და სრულებით ქრება მეშვიდე-მერვე აბაზანის მიღების შემდეგ.

ბალნეოლოგიურ რეაქციას ახასიათებს ავადმყოფობას ნიშნების ერთგვარი გამწვავება: ტკივილის მომატება დაავადებულ სახსრებში, თავის ტკივილი, უძილობა, უმაღობა, თავბრუ, ცუდი გუნებგანწყობა და სხვ.

ა. ულენტის დაკვირვებით, მენჯის გოგირდწყალბადიანი აბაზანებით გამოწვეულ ბალნეოლოგიურ რეაქციას დადებითი პროგნოზული მნიშვნელობა აქვს.



მენქის აპაზანების სამკურნალო მოქმედება სხვადასხვა დაავადების დროს


გულისა და სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები. როგორც ცნობილია, ამ სისტემის ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენს გული, რომელიც აწარმოებს სისხლის მიმოქცევას მთელ ორგანიზმში. გულის მუშაობას აწესრიგებს ცენტრალური ნერვული სისტემა პერიფერიული ნერვული სისტემის მეშვეობით.

გულიდან გამოდის სისხლის ძარღვები—არტერიები და შედის სისხლის ძარღვები — ვენები. გულიდან გამოსული სისხლის ძარღვები—ე. წ. არტერიები ტოტიანდება პატარა შტოებად და ბოლოს ადამიანის თმაზე უფრო წვრილი ხდება (ე. წ. კაპილარები). კაპილარები ორგანიზმში არას ყველგან. კაპილარებად დატოტიანების შემდეგ იწყება უკუმოვლენა ე. ი. კაპილარების შეერთება; ამის შედეგად წარმოქმნილ სისხლის ძარღვებს უწოდებენ ვენებს. წვრილი ვენები უერთდება ერთმანეთს, თანდათანობით მსხვილდება და ბოლოს წარმოქმნის ორ დიდ ვენას, რომლებიც გულში შედის.


არტერიებში იმყოფება ე. წ. არტერიული სისხლი, რომელიც დატვირთულია ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესებისათვის საჭირო საკვები მასალით (ჟანგბადი, ცილა, ცხიმი, ნახშირ-წყლები, მარილები, ჰორმონები, ვიტამინები და სხვა); კაპილარებში სისხლის გასვლის დროს, საღაც საგრძნობლად შენელებულია სისხლის მიმოქცევის სისწრაფე, ეს მასალა გადაეცემა უჯრედებს; სამაგიეროდ, აქვე, სისხლში გადადის ორგანიზმა-სათვის უვარგისი ნივთიერებანი, რომლებიც წარმოიშვა სა-



ეროვნული
ბიблиოთეკა



მდინარე ტეხური „მუკოტახილის“ მახლობლად.





მდინარე ტეხური ეკის ქედის ეიზროებში. მწვერვალზე ჩანს ქალაქ
ეას (კოლხიდის მეფის აეტის რეზიდენციის) ნაშთი.



ქვები მასალის ათვისების შედეგად და ორგანიზმისათვის კულტურული კირო აღარ არის.

სისხლის გაწმენდა ხდება თირკმლების, კანისა და ფილტვების საშუალებით.

ნივთიერებათა ცვლა ორგანიზმში მიმდინარეობს მისი სიცოცხლის მთელ მანძილზე. ესა თუ ის ცვლილება შეიძლება შეეხოს მხოლოდ პროცესის ინტენსივობას, რაც დამოკიდებულია ორგანიზმის მოთხოვნილებისაგან მის სხვადასხვა მდგომარეობაში ყოფნის დროს (გაძლიერებული მუშაობა, დასვენებული მდგომარეობა, ძილი და სხვა).

ნივთიერებათა ცვლა შეუძლებელია სისხლის შეუწყვეტელი მიმოქცევის გარეშე. თუ რომელიმე ორგანო ნაკლები რაოდენობით ლებულობს სისხლს, ვიდრე მას ესაჭიროება, მისი შრომის უნარი მცირდება. სისხლის მიწოდების შეფერხების შემთხვევაში ორგანო მაღალ დაიღუპება, თუ სწრაფად არ იქნა აღდგენილი სისხლის მიმოქცევა.

თავის ტვინის ქერქის მეშვეობით სისხლის განაწილება ორგანიზმი მეტად მიზანშეწონილად ხდება. ყოველი ორგანო ღებულობს იმდენ სისხლს, რამდენიც საჭიროა მისთვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. გაძლიერებული მუშაობის დროს ორგანო ღებულობს მეტ სისხლს და, მაშასადამე, მეტ საკვებ ნივთიერებას, ე. ი. „გაძლიერებულ ულუფას“; ამავე დროს, მოჭარბებული სისხლით უფრო კარგად ხდება უვარგისი ნივთიერების მოშორება, რომელიც გაძლიერებული მუშაობის დროს უფრო მეტი რაოდენობით წარმოიშობა. გული, რომელიც ამარავებს ორგანიზმის ყველა ნაწილს სისხლის საჭირო რაოდენობით, თვითონაც საჭიროებს სისხლს თავისი მიმდინარე მუშაობის შესაბამისად. ჩვეულებრივ პირობებში გულს ერთ წუთში საშუალოდ 70-ჯერ უხდება შეკუმშვა და ამდეხ-ჯერვე გაშლა. ორგანიზმის სიცოცხლის მთელ მანძილზე გული შეუჩერებლივ მუშაობს. როდესაც სხვა ორგანოები სრულიად წყვეტენ ან ძლიერ ამცირებენ მუშაობას (მაგალითად, ძილის, ან დასვენების დროს), გულიც ანელებს შეკუმშვის ტემპს და ისვენებს, იკრებს ენერგიას. მაგრამ, როდესაც გული ავალ-

დება, ან ძლიერ დაიღლება ასეთი შესვენება არ არის საკმარისო მისი შრომისუნარიანობის აღსაღენად. მსგავს შემთხვევებში საჭირო ხდება გულის გამაგრება სხვადასხვა საშუალებით. ამ საშუალებებს მიზნად აქვს გულის სათაღარიგო ძალის გამოყენება, ან გულის კუნთისათვის მუშაობის ისეთი პირობების შექმნა, რომელიც მაქსიმალურად გაუადვილებს მას თავისი დანიშნულების შესრულებას; უფრო ხშირად დახმარების ორივე ხერხს ერთდროულად მიმართავენ.

ბალნეოლოგიურ კურორტებზე იმ ავადმყოფთა მკურნალობის დროს, რომელთაც დაავადებული აქვთ გული და სისხლძარღვთა სისტემა, ყურადღებას აქცევენ უმთავრესად გულის ენერგიის ეკონომიურ ხარჯვას, მისი მუშაობის პირობების შემსუბუქებას, გულის კუნთის კვების გაუმჯობესებას.

ამ პრინციპზე აგებული მკურნალობა ყველაზე უფრო ფართოდ შესაძლებელია ისეთ კურორტებზე, საღაც არის გოგირდწყალბადიანი, ნახშირმუავა ან რაღიაქტიული თერმული წყლები (მენჯი, მაცესტა, კისლოვოდსკი, წყალტუბო და სხვ.).

მენჯის გოგირდწყალბადიანი აბაზანის მიღების დროს მაჭარებიათდება, ე. ი. გული უფრო ნელი ტემპით მუშაობს, იშვიათად იკუმშება და იშლება და ამგვარად ისვენებს, ნაკლებ ენერგიას ხარჯავს, რაღვან მისი ყოველი შეკუმშვა დაკავშირებულია ენერგიის ხარჯვასთან.

გარდა ამისა, შეკუმშვის შენელებასთან ერთად, ხანგრძლივდება გულის გაშლის (დიასტოლის) ხანა, რის გამო გულის ღრუები უკეთესად ივსება სისხლით; თვით გულის კუნთისათვის საკუთარ სისხლის ძარღვებს მეტი სისხლი მოაქვთ, რითაც გულის კუნთის კვება უმჯობესდება.

გოგირდწყალბადიან აბაზანაში კაპილარები ფართოვდება. გარდა ამისა, მუშაობას იწყებენ სათაღარიგო კაპილარები; ამის გამო გულს, როგორც საქაჩავ მანქანას, ისინი ნაკლებ წინააღმდეგობას უწევენ. ამით გულს უადვილდება სისხლის გადაქაჩავა, ე. ი. მუშაობა.

მრავალი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აბაზანაში სისტემის
წნევა ცოტად თუ ბევრად ქვეითდება, რაც ამცირებს გულის
კუნთის დატვირთვას.

ყველაფერი ეს—გულის შეკუმშვის ტემპის შენელება,
გულის დიასტოლის გახანგრძლივება, გულის კუნთის კვების
გაძლიერება, სისხლის ძარღვების გაფართოება, სისხლის წნე-
ვის დაკლება უადვილებს გულს მუშაობას, ასვენებს მას, უმა-
ტებს ენერგიას და სათადარიგო ძალას.

გარდა ამისა შემჩნეულია, რომ გოგირდწყალბადიან აბა-
ზანაში ადამიანი უფრო ღრმად სუნთქვას, რაც ხელს უწყობს
სისხლის გადასვლას ვენური სისტემიდან არტერიულ სისტემა-
ში. ამით ძლიერდება ქსოვილების და, მათ შორის, გულის
კუნთის კვებაც.

გოგირდწყალბადიანი აბაზანები განსაკუთრებით ეფექტია-
ნია გულის კუნთის ისეთი ქრონიკული დაავადების დროს, რო-
დესაც გულის მუშაობას არ ეტყობა ძლიერი დარღვევა
(დეკომპენსაცია) გულის კუნთის სისუსტის გამო.

მენჯის აბაზანების ამ მხრივ მოქმედების შესახებ ჯერ კიდევ
მცირე მასალა მოგვეპოვება. ექიმ ჭ. კაკუბერის (მუშაობდა
მენჯი მკურნალ ეჭიმად 1923 წელს) მოხსენებიდან ჩანს, რომ
მენჯის აბაზანები თავისი მოქმედებით ძლიერ წააგავს მაცეს-
ტის აბაზანებს. გულის მხრივ უსიამოვნო სუბიექტური მოვ-
ლენები 20—25 აბაზანის მიღების შემდეგ უმრავლეს შემთხვე-
ვაში სრულებით ქრება ან ძლიერ მცირდება. ობიექტურადაც
ავადმყოფებს ემჩნევათ გაუმჯობესება: კომპენსაციის დარღვე-
ვის ნიშნების—ქოშინისა და სილურჯის შემცირება, მაგის
გაიშვიათება და სხვ.

ამ საკითხზე პირველი შრომა, რომელიც გამოქვეყნებული
იყო 1935 წელს, ეკუთვნის ღოც. ვ. გერსამიას. ავტორის მიერ
დაკვირვებები წარმოებული იყო გულის სხვადასხვა ქრონი-
კული დაავადებით შეპყრობილ 100 ავადმყოფზე. ავადმყო-
ფები ყოველდღე ღებულობდნენ მენჯის აბაზანებს $35-34^{\circ}\text{C}$,
10—15 წუთის განმავლობაში, სულ 15 აბაზანას. ასეთი მკურ-
ნალობის შედეგად ავადმყოფები, უმრავლეს შემთხვევაში,

თავს უკეთ გრძნობდნენ, ობიექტურადაც აღენიშნებოდათ
გაუმჯობესების მოვლენები (ცხრ. 1).

ცხრილი 1

დაავადების ნიშნები	შემთხვევის რიცხვი	შედეგები			
		უცვლელი	გოვლენ შემცირ.	გოვლენ საგრძნელ შემცირ.	გოვლენ გაქრიბა
ქოშინი	21	2	12	5	2
ტკივილი გულის მიღამოში .	15	—	2	7	6
გულის ფრიალი	13	—	—	8	5
თავბრუ	15	1	6	4	4
თავის ტკივილი	14	1	4	7	2
სიმძიმის გრძნობა თავში . . .	3	1	1	1	—
მაჯის რიტმი უსწორო	3	—	—	—	3
უძილობა	8	—	—	4	4
ცუდი თვითგრძნობა	24	2	—	—	22

უნდა აღინიშნოს, რომ დაავადების ნიშნებიდან ყველაზე აღრე კლებულობდა ან სრულიად ქრებოდა ტკივილი გულის არეში. ობიექტურ მონაცემთა ცვლილებები მოცემულა მე-2 ცხრილში.


ცხრილი 2

დაავადების ნიშნები	აუცილებელი უცვლელი	შედეგები			
		უცვლელი	სხვადასის საგრძნელ შემცირ.	გაქრიბა	
გულის საზღვრები* . . .	20	7	13	—	—
ყრუ ტონები	16	6	10	—	—
შუილები	4	—	4	—	—
დეკომპენსაციის მოვლენები I ხარისხის . . .	8	—	2	6	6
რიტმის დარღვევა** . . .	6	—	1	5	—
მაჯის დაჭიმულობა . . .	7	1	6	—	—

აბაზანების მიღების შემდეგ ავალმყოფებს აღენიშნებოდათ მაჯის სიხშირის შემცირება 10-მდე ერთ წუთში.


* რენტგენოსკოპიულად.

** არა მოცემული არითმია.



ნოქალაჭევი. საავადმყოფო ძველი ციხის ნანგრევებთან.





ଶିଲ୍ପି ମଦିନାର୍ଥୀ ରୂପଶୁଣ୍ଡେ.

სისტოლური წნევა მკურნალობის ჩათავებისას, უმრავლესი შემთხვევაში, კლებულობდა 10—30 მმ-ით, ერთეულ შემთხვევაში—60 მმ-ით. მკურნალობის პროცესში სისხლის წნევა ზოგჯერ მოკლე ხნით კიდევ მატულობდა, შემდეგ ისევ იწყებდა კლებას.

შემდეგ წლებში წარმოებული, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი კლინიკური დაკვირვებები (შ. ფარჯანაძე, ა. თოფურია, ა. შელეგია, ე. ცინცაძე, შ. ნუცუბიძე, ი. ალლაძე, რ. გოგიძედაშვილი, ი. ბერიშვილი და სხვ.) აღასტურებენ მენჯის აბაზანების დადებით სამკურნალო მოქმედებას გულის სხვადასხვა დაავადების დროს.

შ. ფარჯანაძე ი. ბერიშვილთან და რ. გოგიძედაშვილთან ერთად აღნიშნავს მენჯის აბაზანების გავლენით არტერიული წნევის დაკლებას ჰიპერტონიული დაავადების დროს, ვენული წნევისა და სისხლის წებოვნების შემცირებას, სისხლის ცირკულაციის სისწრაფის მომატებას და სხვ.

ე. ცინცაძის დაკვირვებით, მენჯის აბაზანებით მკურნალობის შედეგად ჰიპერტონიული დაავადებით შეპყრობილი ავადმყოფების საერთო მდგომარეობა უმჯობესდება, არტერიული წნევა ქვეითდება (82%-ში); ამავე დროს აღგილი აქვს სისხლძარღვთა ტონუსის ნორმალიზაციას.

ჰიპერტონიული დაავადების სხვადასხვა სტადიაში მენჯის აბაზანების გავლენა სანატორიულ ავადმყოფებზე შესწავლა-ლია მ. ნოდიას, ა. კაკულიას, ი. ჩხეტიას და მ. ლგებუაძის მიერ. გამოირკვა, რომ სანატორიუმში ჩატარებული კომპლექსური (უმთავრესად მინერალური აბაზანებით) მკურნალობის შედეგად, ჰიპერტონიული დაავადების პირველი და მეორე სტადიის თითქმის ყველა შემთხვევაში მიღებული იყო სრულიად დამაკმაყოფილებელი შედეგი. მდგომარეობის გაუარესებას აღგილი არ ჰქონია არც ერთ შემთხვევაში.

ე. კვიცარიძემ და გ. ჩიმაკაძემ ექსპერიმენტულად დამტკიცეს, რომ მენჯის წყალი დეპრესორულ (გამაფართოებელ) გავლენას ახდენს სისხლძარღვებზე. ამ მექანიზმში მონაწილე-

ობას ღებულობენ როგორც ნერვული, ისე ჰუმანული და ფინანსურული ფაქტორები.

ასეთივე დასკვნამდე მივიდა რ. გოგიძედაშვილი, რომელმაც შეისწავლა მენჯის აბაზანების გავლენა ექსპერიმენტულ ჰიპერტონიაზე.

ზემომოყვანილი კლინიკური და ექსპერიმენტული მასალების მიხედვით შეიძლება გამოტანილ იქნეს დასკვნა, რომ მენჯის გოგირდწყალბადიანი აბაზანებით მკურნალობა ნაჩვენებია: გულის კუნთის ქრონიკული რევმატიზმული დაავადებების, კარდიოსკლეროზის, გულის მანკის და ჰიპერტონიული დაავადების დროს. გულის მუშაობის კომპენსაციის მსუბუქა დარღვევა არ წარმოადგენს წინააღმდეგ ჩენებას მენჯის აბაზანებით მკურნალობისათვის.

სახსრების ქრონიკული დაავადებანი. სახსრების დაავადება საქმარისად ხშირი ავადმყოფობაა. უმრავლეს შემთხვევაში იგი გამოწვეულია რევმატიზმული ინფექციით, შედარებით იშვიათად სხვა ინფექციითა და ინტოქსიკაციით (ტუბერკულოზი, სუსუნატი, ათაშანგი, ანგინა, სისხლის მოწამვლა, გრაპი, ბრუცელოზი და სხვა ინფექციები). სახსრების დაავადება ხშირად დაკავშირებულია ტრავმასთან ან ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის მოშლასთან (ე. წ. ნიკრისის ქარი). სახსრების დაავადება, მეტად შემაწუხებელი ტკივილის გარდა, ანასიათებს სახსრებში მოძრაობის შეზღუდვა და ზოგჯერ შესავება. ეს მოვლენები ძლიერ ამცირებს ადამიანის შრომისუნარიანობას და ხშირად ინვალიდობასაც კი იწვევს. შეილება ითქვას, რომ პირველად სწორედ ამ კატეგორიის ავადმყოფებმა გაუთქვეს სახელი თბილი წყლის აბაზანებით მკურნალობას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახსრების დაავადება, უმეტეს შემთხვევაში, დაკავშირებულია რევმატიზმულ ინფექციასთან; რევმატიზმი სახსრებზე უფრო მეტად გულს აზიანებს. ცნობილი ფრანგი ექიმის ლასეგის გამოთქმით — „რევმატიზმი სახსრებს ლოკავს, გულს კი ჭბენს.“ გულის მრავალი დაავადება დაკავშირებულია რევმატიზმთან და ამიტომ სა-

კმაოდ ხშირია გულისა და სახსრების ერთდროული დაავადების შემთხვევები. ეს გარემოება მხედველობაში უნდა იყოს მიღებული გოგირდწყალბადიანი აბაზანებით ავადმყოფის მკურნალობის დროს. თუმცა მენჯის აბაზანები მშვენიერ შედეგებს იძლევა გულის მრავალი ქრონიკული დაავადების დროს, მაგრამ, თუ მწვავე პროცესი მთლიანად არ არის ჩატარალი, მენჯის აბაზანებს შეუძლია გაამწვავოს ავადმყოფობა და გაართულოს მდგომარეობა. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო გულის შიგნითა გარსის — ენდოკარდიუმის მწვავე დაავადების დროს, რომლის ობიექტური გამოხატულება შეიძლება არ იყოს შესამჩნევი. ეს მდგომარეობა არ უნდა იქნეს დავიწყებული, როდესაც ავადმყოფს სახსრების დაავადების გამო ენიშნება გოგირდწყალბადიანი აბაზანები.

სახსრების ქრონიკულ დაავადებათა გოგირდწყალბადიანი აბაზანებით მკურნალობა უმრავლეს შემთხვევაში მშვენიერ შედეგებს იძლევა. ხშირად, მკურნალობის პროცესში, ჩვეულებრივ, 4—5 აბაზანის შემდეგ ადგილი აქვს სახსრებში ტკივილის ერთგვარ გამწვავებას; მაგრამ ეს უსიამოვნო მოვლენა მალე ქრება და მდგომარეობა შესამჩნევად უმჯობესდება. ზოგჯერ ტკივილის გამწვავება (ბალნეოლოგიური რეაქცია) აშინებს ავადმყოფებს, რის გამოც ისინი მოითხოვენ სანატორიუმიდან გაწერას და ექიმის ახსნა-განმარტებას უბრალო დამშვიდებად თვლიან. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მენჯის აბაზანები ასეთ რეაქციას საკმაოდ ხშირად იწვევს და მას მხოლოდ დადებითი მნიშვნელობა აქვს.

განსაკუთრებით კარგად მოქმედებს მენჯის აბაზანები სახსრების რევმატიზმული დაავადების დროს. ამ დაავადებით შეპყრობილთა უმრავლესობა მენჯში მკურნალობის „შეძლების უკეთესობას გრძნობს, რომ ხშირად „ხელიდან უშვება ყავარჯნებს“.

კარგ შედეგებს იძლევა მენჯის აბაზანები აგრეთვე სახსრების სხვა ქრონიკული დაავადებების დროს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სახსრების ტუბერკულოზური ანთება,



რომლის დროს ბალნეოთერაპია საზოგადოდ ნაჩვენები არის.


მკურნალობის ჩათავების შემდეგ ავადმყოფები აღნიშნავენ სახსრებში ტკივილის შემცირებას ან უფრო ხშირად გაქრობას, მოძრაობის გაადვილებას, სიმსივნის შემცირებას და სხვ.

მ. ნოდიას, ლ. ჯიქიას, ა. კაკულიას, მ. ლგებუაძის, ი. ჩხეტიას მონაცემებით, სახსრების ქრონიკული რევმატიზმული დაავადებით შეპყრობილი 200 ავადმყოფის კომპლექსური მკურნალობის შედეგად (ძირითადად მინერალური აბაზანებით—36—38°) ავადმყოფთა 67% მიიღო მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ხოლო 33%—გაუმჯობესება. ავადმყოფის მდგომარეობის გაუარესებას არც ერთ შემთხვევაში არ ჰქონია ადგილი.

გინეკოლოგიური დაავადება. გინეკოლოგიური დაავადებიდან ბალნეოლოგიური მკურნალობის ობიექტს მხოლოდ ქრონიკულად მიმდინარე დაავადება წარმოადგენს. ყოველგვარი თბილი პროცედურა ამ დაავადებათა მკურნალობის დროს დადებით ეფექტს იძლევა. მათგან განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ სამკურნალო ტალახს. მაგრამ თუ ავადმყოფს გინეკოლოგიურ დაავადებასთან ერთად გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებაც აქვს, იგი ვერ იტანს ტალახის მაღალ ტემპერატურას (50°). ასეთ შემთხვევებში გოგირდწყალბადიან აბაზანებს ის დიდი უპირატესობა აქვს, რომ ისინი დადებით მოქმედებას იჩენენ წყლის უფრო დაბალი ტემპერატურის დროს (33—36°).

გოგირდწყალბადიანი აბაზანები, ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესებისა და მოწესრიგების გარდა, იწვევს დაავადებულ ორგანოებში სისხლის მიწოლას, არტერიული სისხლით ჭათ მორწყვას, რაც აუმჯობესებს ამ ორგანოთა კვებას; გარდა აშისა, მნიშვნელობა აქვს დაავადებულ ორგანოთა გოგირდწყალბადით გალიზიანებას, რასაც თან სდევს ანთებითი პროცესის უკუგანვითარება.

ზოგადი აბაზანების გარდა, გინეკოლოგიური დაავადებების დროს ხმარობენ ადგილობრივ აბაზანებს — მინერალური



ცაიში. მინერალური წყაროები.



კურორტი ლუგელა. საერთო ხედი.

წყლით საშოს მორწყვას. ეს პროცედურა აძლიერებს ზოგადდასამართვას აბაზანების მოქმედებას. ადგილობრივი აბაზანები, სისხლის მიმოქცევის გაძლიერების გამო, იწვევენ ორგანოს ლორწოვანი გარსის გაწითლებას, რაც დადებითად მოქმედებს ქრონიკულ ანთებით პროცესებზე.

მაცესტის გოგირდწყალბადიანი აბაზანებით გინეკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის საკითხი შესწავლილია პროფ. ჩერნიახოვსკის მიერ. მისი დაკვირვებით, ქრონიკული გინეკოლოგიური დაავადებით შეპყრობილთა 91% საგრძნობი გაუმჯობესება იგრძნო.

6. ბოკერიას დაკვირვებით (1935 წ.), მენჯის აბაზანები მაცესტის მსგავს მოქმედებას იჩენენ გინეკოლოგიური დაავადების დროს. ამ მონაცემებს ადასტურებს აგრეთვე ექ. ჩახავას დაკვირვებები. გამონაკლისს წარმოადგენს ტუბერკულოზური წარმოშობის გინეკოლოგიური დაავადებები, რომლებიც, ისე როგორც საზოგადოდ ყოველგვარი ტუბერკულოზური პროცესი, წინააღმდეგნაჩვენებია მენჯში მკურნალობისათვის.

ორსულობის დროს გოგირდწყალბადიანი აბაზანების მიღება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მათი დანიშვნა ორსულობის პირველი 2 თვის განმავლობაში. მენჯის აბაზანებით უფრო გვიან სარგებლობა კასაშიშია მუცლის მოშლის მხრივ. კიდევ უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს ადგილობრივი აბაზანები.

ნივთიერებათა ცვლის დაავადებანი. სამედიცინო ლიტერატურაში ხშირად შევხვდებით გამოთქმას „ნივთიერებათა ცვლა“, რომელიც არასპეციალისტისათვის შეიძლება გაუგებარი იყოს. ნივთიერებათა ცვლას უწოდებენ ცოცხალი ორგანიზმის უჯრედების მიერ ზრდის, კვებისა და ენერგიის წარმოშობისათვის საჭირო ნივთიერებათა ათვისებას და აპას შედეგად დაგროვილი უვარგისი მასალისაგან უჯრედების და ქსოვილების გათავისუფლებას.

ნივთიერებათა ცვლის პროცესის ნორმალური მიმღინარეობისათვის ორგანიზმში საჭიროა:

1. ორგანიზმის მიერ საკვები ნივთიერების მიღება,

2. საკვები ნივთიერების დამუშავება საჭმლის მომნელებელი ორგანოების მიერ,
3. საკვები ნივთიერების ნორმალური მიწოდება მოხმარების ადგილამდე, ე. ი. უჯრედებამდე,
4. უჯრედების მიერ მათი მოხმარება დანიშნულებისამებრ,
5. საკვები მასალის შეთვისების შედეგად დაგროვილი უვარებისი ნივთიერებების გარეთ გამოყოფის ნორმალური მიმდინარეობა.

ამ რთულ პროცესში რომელიმე რგოლის გამოვარდნა, ახ გაუკულმართება იწვევს ნივთიერებათა ცვლის ნორმალური მიმდინარეობის დარღვევას.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მენჯის აბაზანები იწვევს სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას, რაც აძლიერებს უჯრედების კვებას, მათი არსებობისა და მუშაობისათვის საჭირო ნივთიერებების ათვისების უნარს.

ა. უღენტის დაკვირვებით (1935 წ.), მენჯის აბაზანების გავლენით ავადმყოფთა სისხლში მატულობს გლუტატიონის რაოდენობა; ეს ის ნივთიერებაა, რომელიც აძლიერებს უჯრედების სიცოცხლისუნარიანობას, ხელს უწყობს უჯრედის ზრდას და განვითარებას, აცხოველებს ნივთიერებათა ცვლას. გარდა ამისა, ადგილი აქვს კატალაზის¹ მომატებას, რასაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს ნივთიერებათა ცვლის ნორმალური მიმდინარეობისათვის.

მენჯის აბაზანების ასეთ მოქმედებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ნივთიერებათა ცვლის მოშლასთან დაკავშირებულ ავადმყოფობათა (ნიკრისის ქარი, სიმსუქნე და სხვ.), არამედ მთელ რიგ სხვა სნეულებათა დროს.

ნერვული სისტემის დაავადება. გოგირდწყალბადიანი აბაზანები კარგ შედეგებს იძლევა ნერვული სისტემის მთელი რიგი დაავადებების დროს. ამას მოწმობს მაცესტაში წარმოე-

1) კატალაზა ეწოდება ბიოლოგიურ აგენტს (ფერმენტს), რომელიც მონაწილეობს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლასთან დაკავშირებულ ჟიმიურ ჩემიციებში.



ბული მრავალი დაკვირვება. ნერვული სისტემის დაავადება შესაბამის დან ბალნეოლოგიურ კურორტზე ყველაზე ხშირად ვხვდებით საჯდომი ნერვის ანთებას — იშიაზს. იშიაზის დროს ავადმყოფს ოწუხებს სხვადასხვა სიძლიერის ტკივილი ქვედა კიდურის უკანა ზედაპირზე. ტკივილი ავადმყოფს ხელს უშლის მუშაობაში, სიარულში და ზოგჯერ იძულებულს ხდის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩაწერს ლოგინად. ამ დაავადების დროს მინერალური აბაზანებით მკურნალობა კარგ შედეგებს იძლევა, მრავალი ავადმყოფი სრულიად იკურნება. მინერალური აბაზანებით მკურნალობა კარგად მოქმედებს აგრეთვე სხვა ნერვების ანთებისა და ნერვული ფესვის ანთების — რაღი-კულიტის დროს.

მენჯის აბაზანების გავლენა ავადმყოფთა ამ ჯგუფზე შეა-წავლილია ნ. ოქროპირიძის მიერ; იგი მივიდა დასკვნამდე, რომ მენჯის გოგირდწყალბადიანი აბაზანები წარმოადგეს მძლავრ სამკურნალო საშუალებას ზემოალნიშნული დაავადებების წინააღმდეგ.

გოგირდწყალბადიანი აბაზანებით მკურნალობა კარგ შედეგს იძლევა ცენტრალური ნერვული სისტემის, განსაკუთრებით ათაშანგით გამოწვეული, დაავადებების დროს. დადებითი ეფექტი აიხსნება არა მარტო უჯრედთა ცხოველმყოფელობის და საერთოდ ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესებით; დაძტკი-ცებულია, რომ თავის ტვინის გარსი, რომელიც იცავს ტვინს გარემო ზეგავლენისაგან, ხელს უშლის აგრეთვე ტვინის ქსოვილში წამლეულობის შესვლას. გოგირდწყალბადის აბაზანების გავლენით კი იგი გამავალი ხდება, რაც ტვინზე წამლებით მოქმედების საშუალებას იძლევა. დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ ათაშანგით დაზიანებული ნერვული სისტემის სპეციფიკური მკურნალობა გოგირდწყალბადიან აბაზანებთან კომბინაციაში უკეთეს შედეგებს იძლევა, ვიდრე მხოლოდ წამლებით მკურნალობა. უნდა ვითიქროთ, რომ ეს თვისება გააჩნია მენჯის აბაზანებსაც, მაგრამ ამის მტკიცება, სათანადო მასალის უქონლობის გამო ჯერჯერობით ძნელია.

რაც შეეხება ნერვული სისტემის ფუნქციურ დაავადებებს

(ნევრასთენია, ისტერია), მენჯში მათი მკურნალობა ნაჩვენებია არ არის.


თუ ასეთი ავადმყოფები ზოგჯერ მენჯში უკეთობას გრძნობენ, ეს აიხსნება სხვა კურორტულ ფაქტორთა (სანატორიული რეჟიმი, კლიმატი და სხვ.) ზეგავლენით.

კანის დაავადებანი. მაცესტაში ჩატარებული ხანგრძლივი კლინიკური დაკვირვებების მიხედვით შეიძლება თამამად ითქვას, რომ გოგირდწყალბადიანი მინერალური აბაზანები სრულიად დამაკმაყოფილებელ შეღებებს იძლევა კანის მრავალი დაავადების დროს. მაგალითად, ლავროვის დაკვირვებიდან ჩანს, რომ ქრონიკული ეგზემით დაავადებულთა 65% მაცესტის აბაზანების ზეგავლენით სრულიად გაუქრა ამ დაავადებისათვის დამახასიათებელი კანის ცვლილებები. უკეთობა არ იგრძნო ავადმყოფთა მხოლოდ 6%. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ დაავადების მეტად შემაწუხებელ ნიშნებს, რომელებიც წლების მანძილზე ტანჭავს ავადმყოფებს, ნათელი გახდება გოგირდწყალბადიანი აბაზანებით მკურნალობის მნიშვნელობა ამ დაავადებასთან ბრძოლის საჭმეში. ასევე დადებითად მოქმედებს მაცესტის აბაზანები ფსორიაზის დროს, რომელიც ეგზემაზე არანაკლებ შემაწუხებელ დაავადებად ითვლება. უნდა ვითიქროთ, რომ გოგირდწყალბადიანი აბაზანების მკურნალობის ეფექტი კანის დაავადებათა დროს ძირითადად დაკავშირებულია კანზე გოგირდწყალბადის უშუალო მოქმედებასთან. კანის სისხლის მიმოქცევისა და კვების გაუმჯობესება, აგრეთვე გოგირდის შეწოვა კანში იწვევს ამ უკანასკნელის ცვლილებათა უკუგანვითარებას—ავადმყოფის განკურნებას. არანაკლებ როლს ასრულებს სხვა კურორტული ფაქტორების დადებითი მოქმედება ნერვულ სისტემაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ, და კერძოდ, კანის დაავადებათა დროს.

მენჯის გოგირდწყალბადიანი აბაზანები, ადგილობრივი ექიმების გადმოცემით, მაცესტის აბაზანების ანალოგიურ მოქმედებას იჩენს ფსორიაზით დაავადებულებზე. მაგრამ ეს სა-

კითხი არ არის სათანადოდ დამუშავებული და შემდგომ შეს-
ტავლას მოითხოვს.

ალსანიშნავია, რომ გოგირდწყალბალიანი, კერძოდ, მენჯის
აბაზანები ხელს უწყობს ჭრილობების შეხორცებას.



მენქის აბაზანების დანიშვნის მეთოდის



როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გოგირდწყალბალიანი აბაზანები წარმოადგენს მძლავრად მოქმედ სამკურნალო პროცედურას. მკურნალობის წარმატება დიდად არის დამოკიდებული აბაზანების სწორი დანიშვნისაგან. აბაზანების დანიშვნის დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული არა მარტო გოგირდწყალბალიანი მინერალური წყლის თვისებები, არამედ ავადმყოფი ადამიანის ორგანიზმის თავისებურებანიც. წინააღმდეგ შემთხვევაში მკურნალობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ავადმყოფის ჯანმრთელობაზე. შაგალითად, წარსულში, როდესაც მაცესტაში ადგილი ჰქონდა აბაზახების თვითნებურად მიღებას, ხშირი იყო მოწამვლის "შექმნა ასეთ შემთხვევებს მენჯში ადგილი იმიტომ არ ჰქონია, რომ მენჯის წყლებში გოგირდწყალბალი შედარებით ნაკლებია; გარდა ამისა, მენჯის წყაროები გაძოდის ლია ადგილებში . და გოგირდწყალბალი თავისუფლად იფანტება ჰაერში.

აბაზანების ზუსტი დოზირებისა და სწორი დანიშვნისათვის საჭიროა ავადმყოფის მდგომარეობის შესწავლა, რაც ეჭიმისაგან მოითხოვს მოფიქრებულ და დაკვირვებულ მუშაობას. პირველი აბაზანა, რომელიც უფრო საცდელ პროცედურას წარმოადგენს, უნდა იყოს ხანმოკლე—5—8 წუთიანი. თუ მარა ავადმყოფი კარგად აიტანს, მაშინ აბაზანის ხანგრძლიობა თანდათანობით (2-2 წუთით) უნდა გადიდდეს, სანამ უმიალწევს 15 წუთს. ამაზე ხანგრძლივი აბაზანა, ჩვეულებრივ, უფრო ძნელი ასატანია და სასარგებლოც არ არის. პირველი აბაზანა ავადმყოფს ენიშნება კურორტზე ჩამოსვლიდან

1—2 დღის შემდეგ, დასაწყისში დღეგამოშვებით, ხოლო შემდეგ ყოველდღე. მკურნალობის კურსი საშუალოდ შეადგენს 15 აბაზანას, საერთოდ კი, დამოკიდებულია დაავადების ხასიათისა და ავადმყოფის საერთო მდგომარეობისაგან. ზოგჯერ საკმარისია 10—12 აბაზანაც, მაგრამ, არც ისე იშვიათად, მკურნალობის კურსი განისაზღვრება 20 და ზოგჯერ მეტი აბაზანითაც, განსაკუთრებით კანისა და სახსრების ქროხულ დაავადებათა მკურნალობის დროს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე წყლის ტემპერატურას. ბევრია დამოკიდებული ავადმყოფის ინდივიდუალობისაგან.

გულისა და სისხლძარღვთა დაავადების დროს ავადმყოფებს ენიშნებათ აბაზანები 35°C ; რამდენიმე აბაზანის მიღების შემდეგ წყლის ტემპერატურას უკლებენ თითო გრადუსით. ჩვეულებრივ, 32° -დე, და თუ ავადმყოფი კარგად იტანს, 31° -დეც.

სახსრების ქრონიკული ანთების, პერიფერიული ნერვული სისტემის, გინეკოლოგიური და კანის დაავადებათა დროს წყლის ტემპერატურა უფრო მეტი უნდა იყოს (36 — 37°). ასევე მაღალი უნდა იყოს წყლის ტემპერატურა ადგილობრივი აბაზანების დანიშვნის დროს.

წარმატებით მკურნალობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აბაზანების მიღების წესის დაცვას.

აბაზანის მიღების წინ ავადმყოფი არ უნდა იყოს დაღლილი ან მშიერი, მაგრამ არც ძლიერ მაძლარი. უკეთესია აბაზანის მიღებას წინ უძლოდეს მსუბუქი საუზმე.

აბაზანაში საჭიროა სრულიად დამშვიდებულად და უძრავად წოლა, კუნთების დაჭიმულობის გარეშე. ზედმეტი მოძრაობა იწვევს გოგირდწყალბადის აქროლებას. აბაზანაში ავადმყოფი უნდა იწვეს ზურგზე, წინ გამოწეული გულმკერდით; აბაზანაში უფრო ღრმად ჩაწოლა არ არის საჭირო, გახსაკუთრებით გულის დაავადებების დროს, რადგან წყლის დაწოლა გულმკერდზე აძნელებს სუნთქვას. სხვა დაავადებების ჭკურ-

ნალობის დროს ავაღმყოფი შეიძლება უფრო ღრმად ჩაწერა აბაზანაში.


აბაზანაში ყოფნის ექიმის მიერ დანიშნული დრო ზუსტად უნდა იყოს დაცული. ყოვლად დაუშვებელია აბაზანაში ზედმეტ ხანს ყოფნა. ზოგჯერ თბილი, სასიამოვნო პროცედურა ავაღმყოფს ძილს გვრის, ამიტომ საჭიროა ზედამხედველობა, რომ ავაღმყოფს აბაზანაში არ ჩაეძინოს. აბაზანიდან ამოსვლის შემდეგ ავაღმყოფმა ტანი ფრთხილად უნდა შეიმშრალოს პირსახოცით; ტანის დაზელვა საჭირო არ არის. ამის შემდეგ ავაღმყოფმა ტანთ უნდა ჩაიცვას, დაწვეს ტახტზე და დაისვენოს 20—30 წუთის განმავლობაში. ბინაში დაბრუნების შემდეგ კიდევ საჭიროა 1—2 საათით დასვენება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აბაზანის შეძლვომ რეჟიმს, რაღაც ავაღმყოფები სათანადოდ არ აფასების და ხშირად არღვევენ მას.


ავაღმყოფებს ხშირად აინტერესებთ, წლის რომელ დროს სჯობია მენჯში სამკურნალოდ ჩასვლა?

გულით ავაღმყოფებისათვის უკეთესია გაზაფხულისა და შემოდგომის თვეები, რაღაც შუა ზაფხულში სიცხე იცის. სხვა ავაღმყოფთათვის წლის დროს შერჩევას არა აქვს შეიძვნელობა, შეიძლება ზაფხულის თვეები სჯობდეს კიდეც.





სააბაზანო შენობები ნოქალაქევში.





ფეოდალის სახლის ნანგრევები გორაკშე.

ბენჯის აბაზანებით გურიალობის ჩვენებაზი

გულისა და სისხლძარღვთა სისტემის დაავალებები

ა) გულის კუნთის დაზიანებაზი

1. ქრონიკული რევმატიზმული მიოკარდიტი ნორმალური ტემპერატურით და ნორმალური ედრ-ით (მწვავე ან ქვემწვავე მოვლენების გავლიდან 5—6 თვის შემდეგ) I და I—II ხარისხის დეკომპენსაციით.
2. მიოკარდიოდისტროფია სხვადასხვა წარმოშობისა I და I—II ხარისხის დეკომპენსაციით.
3. ათაშანგით გამოწვეული გულის კუნთის დაზიანება I და I—II ხარისხის დეკომპენსაციით (სტენოკარდიისა და ანეზრიზმის მოვლენების გარეშე).

ბ) გულის მანკი

1. ორგარიანი სარქველის უკმარისობა I და II ხარისხის დეკომპენსაციით (რევმატიზმული წარმოშობის მანკის შეკურნალობა ნაჩვენებია მწვავე მოვლენების გავლიდან 5—6 თვის შემდეგ).
2. აორტალური სარქველების ნაკლოვანება მხოლოდ კომპენსაციისა ან 0—I ხარისხის დეკომპენსაციის შემთხვევაში.

გ) სისხლძარღვთა დაავალებაზი

1. არტერიოსკლეროზი;
2. აორტის სკლეროზი;
3. სიფილისური წარმოშობის მეზოაორტიტი (სტენოკარდიისა და ანევრიზმის გარეშე);
4. თრომბანგიტი განგრენის გარეშე;
5. თრომბოფლებიტის ნარჩენი მოვლენები მწვავე პერიოდის დამთავრებიდან 2 თვის შემდეგ.

დ) ჰიპერტონიული დაავადება

I და II სტადია თავის ტვინის ძალვების სკლეროზის, სტენოკარდიისა და თირკმლების ფუნქციის დარღვევის გარეშე.

სამოძრაო ორგანოთა დაავადებანი

1. მწვავე რევმატიზმის (ბუიო-სოკოლსკის დაავადება) ნარჩენი მოვლენები მწვავე პერიოდის გავლის შემდეგ არა უადრეს 5—6 თვისა;
2. ინფექციური და ტოქსიკური წარმოშობის ართრიტები;
3. ათაშანგური წარმოშობის სახსრების დაავადება;
4. სახსრების ტრავმული დაზიანებები;
5. ნიკრისის ქარი და სახსრების დაავადებები ენდოკრინული წარმოშობისა;
6. მძიმე ლითონებით მოწამვლის ნიადაგზე განვითარებული სახსრების პროფესიული დაზიანებები.

სერხემლის დაავადებანი (არასპეციფიკური)

1. ქრონიკული ინფექციური და ტოქსიკური სპონდილიტი;
2. სპონდილოზები.

ძვლების, კუნთების და მყესების დაავადებანი

1. ძვლის მოტეხილობა ცუდად განვითარებული ძვლის კორძით;
2. ოსტიტი და პერიოსტიტი ინფექციური და ტრავმული წარმოშობისა;
3. მიოზიტი, ბურსიტი და ტენიოვაგინიტი ტოქსიკოისფერი და ტრავმული წარმოშობისა;
4. არამყარი კონტრაქტურები—დერმატოგენური, მიოგენური და ტრავმული წარმოშობისა;
5. ტრავმული ოსტეომიელიტი.

ნიაზული სისტემის დაავადებანი

1. პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები;
2. а) პერიფერიული ნერვული სისტემის ტრავმული და კრილობითი გამოწვეული დაზიანებები;
 - б) რადიკულიტი, პოლირადიკულონევრიტი, ნევრალგია, ნევროფიბრომიოზიტი ინფექციური, რევმატიზმული, იხტოქ-სიკაციის და მეორადი წარმოშობის: ხერხემლის, გიხეკოლო-გიური ან სხვა სახის დაავადებათა გამო.

გინეკოლოგიური დაავადებანი

1. ადნექსიტი, პერიადნექსიტი (არატუბერკულოზური წარ-მოშობისა) მწვავე მოვლენების გავლიდან 8 კვირის შემდეგ;
2. ქრონიკული მეტრო-ენდომეტრიტი;
3. ქრონიკული ცერვიციტი, კოლპიტი, ვულვიტი;
4. ქრონიკული პარამეტრიტი (არა უადრეს 8 კვირისა მწვავე მოვლენების გავლის შემდეგ);
5. ქრონიკული პელვეო-პერიტონიტი;
6. ოპერაციის შემდგომი ინფილტრატი და ექსუდატი;
7. საკვერცხეების ჰიპოფუნქცია ნორმალური ან დაპატარა-ვებული საშვილოსნოს დროს.

კანის დაავადებანი

1. ქრონიკული ეგზემა;
2. ფსორიაზი;
3. პრურიტი;
4. ნევროლერმიტი.



მენის აბაზანებით მკურნალობის ნინაომდევჩჩენებანი

1. ყველა სახის დაავადება მწვავე პერიოდში;
2. ყველა ორგანოს ტუბერკულოზი;
3. სტენოკარდია;
4. ნეფრიტი, ნეფროზი, ნეფროსკლეროზი, პიელიტი;
5. ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადება;
6. ავთვისებიანი სიმსივნეები;
7. ეპილეფსია, ფსიქოზები, ფსიქასთენია, ისტერია და მძიმე ფორმის ნევრასთენია;
8. გულის დეკომპენსაცია II და III ხარისხის.



ჰაერის, მზის აბაზანები და სხვა სამკურნალო ფაქტორები

ჰაერის აბაზანები

მენჯის პირობებში, მინერალური აბაზანების გარდა, მკურნალობის ეფექტი ბევრად არის დამოკიდებული კლიმატური ფაქტორების, სანატორიული რეჟიმისა და სამკურნალო კვების მიზანშეწონილი გამოყენებისაგან. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობასაც.

ჰაერის აბაზანები წარმოადგენს საკმარისად ნაზ, და ამავე დროს მეტად სასარგებლო პროცედურას. იგი ავარჯიშებს და აწრითობს ადამიანის ორგანიზმს და აჩვევს მას ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობასთან.

მენჯში ჰაერის აბაზანები, როგორც დამხმარე პროცედურა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მკურნალი ექიმის დანიშვნით. მენჯში ჩამოსულ ავაღმყოფთა შორის ჰაერის აბაზანები შეიძლება დაენიშნოს გულით ავაღმყოფებს.

სახსრების ქრონიკული ანთებით და აგრეთვე გინეკოლოგიური და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებით შეპყრობილი ავაღმყოფები ცუდად იტანენ ჰაერის აბაზანებს და ამიტომ ეს პროცედურა მათ არ ენიშნებათ.

ჰაერის აბაზანის მიღება შეიძლება ყველგან ჩრდილში, მხოლოდ აღგილი დაცული უნდა იყოს ქარისაგან. აბაზანები მიღება გახდილ ტანზე, მწოლიარე ან მჯდომარე მდგომარეობაში; პირველი აბაზანების ხანგრძლიობა არ უნდა აღმატებოდეს 10 წუთს, შემდეგ დღეებში დროს 10—10 წუთით აღიდებენ, სანამ არ მიაღწევს $1\frac{1}{2}$ —2 საათს. აბაზანების ხანგრძლიობას ხშირად განსაზღვრავს ავაღმყოფის თვითგრძნობა. შეცივების შემთხვევაში შეიძლება მოძრაობა, მსუბუქი ვარჯიშობა, ან ტანის დაზელა ხელით.

ჰერის აბაზანები მიღებული უნდა იქნეს შსუბუქი შემდეგ.

აბაზანების შემდეგ საჭიროა წყლის გადავლება ტანზე ან სველი პირსახოცით ტანის დაზელა. პირველ ხანებში წყალი უმჯობესია ნელთბილი იყოს, ხოლო შემდეგ—ოთახის ტემპერატურისა.

მზის აბაზანები

მზის აბაზანები წარმოადგენს ერთ-ერთ ძლიერ სამკურნალო. პროცედურას. ის ამაგრებს ორგანიზმს, გამძლეს ხდის მას, ამცირებს მიღრეკილებას მრავალი დაავადებისადმი. ეს კარგად ჰქონდათ შენიშნული ძველ დროში, როდესაც ამბობდნენ: „იქ, სადაც მზის სხივები არ შედის, ექიმები შედიანო“.

მზის აბაზანებს დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალი დაავადების დროს. მინერალურ აბაზანებთან ერთად გამოყენებისას ის აძლიერებს მკურნალობის ეფექტიანობას.

მზის აბაზანების მიღება შეიძლება მხოლოდ ექიმის რჩევით, რადგან ბევრ შემთხვევებში მას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს ორგანიზმს. ეს განსაკუთრებით ეხება გულისა და ნერვული სისტემის დაავადებებს.

მზის აბაზანებით მკურნალობა (ჰელიოთერაპია) უნდა ტარდებოდეს სპეციალურად გამოყოფილ და მოწყობილ ადგილას, ე. წ. სოლარიუმში ან სამხრეთისაკენ მიმართულ, ქარისაგან დაფარულ მზიან ადგილას. შეიძლება აგრეთვე გაძოყნებულ იქნეს სახლების სახურავი და ვერანდები.


მზის აბაზანისათვის მეტად მოხერხებულია ზღვის ან მდინარის ნაპირი. გამოუსადეგარია მწვანე მინდვრები და ბალახით დაფარული მოედნები.

მზის აბაზანების მისაღებად ყველაზე მოხერხებული დროა ღილა (11 საათამდე) და ნაშუადლევი—4-დან 6—საათამდე. აბაზანების მიღება შეიძლება დღეში ერთხელ. პირველი აბაზანის ხანგრძლიობა არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს ($2\frac{1}{2}$ წუთი ერთ მხარეს და ამდენივე მეორე მხარეს). შემდეგ დღებში მზის აბაზანების ხანგრძლიობას აღიდებენ ყოველდღიურად 5 წუთით, სანამ არ მიაღწევენ $1\frac{1}{2}$ საათს. ამაზე მეტად კანკურაცია მზის პირდაპირი სხივების ქვეშ მენჯის პირობები

ეროვნული
გიგანტები



ფოთი. შესავალი ქალაქის პარკში.





ფოთი. თეატრი და მხარეთმცოდნების მუზეუმი.

არ არის საჭირო. მზის სხივების მოქმედება დამოკიდებულია არა მარტო დასხივების ხანგრძლიობისაგან, არამედ მისი ინტენსივობისაგანაც. ეს უკანასკნელი მერყეობს, როგორც წლის დროის მიხედვით, ისე დღის განმავლობაშიც. ამიტომ, კურორტებზე, საღაც ჰელიოთერაპია სპეციალურად ტარდება, აბაზანების ხანგრძლიობა განისაზღვრება არა დროით, არამედ იმ კალორიების. (სითბოს საზომი ერთეულია) მიხედვით, რომელსაც ავითარებს მზის სხივები დროის ამა თუ იმ ჭონაკვეთში.

მზის აბაზანების მიღებიდან 10—15 წუთის შემდეგ საჭიროა წყლის გადავლება ტანზე ან შხაპის მიღება. ცივ წყალთან შეუჩეველს პირველ ხანებში შეუძლია მიიღოს 25—26°C შხაპი. ამავე დროს აუცილებელ პირობას წარმოადგენს ამ ორი პროცედურის შემდეგი თანმიმდევრობით მიღება: ჯერ მზის აბაზანები და შემდეგ წყლის პროცედურები, და არავთარ შემთხვევაში პირიქით. ამწესის დარღვევას ხშირად აქვთ ადგილი ზღვის პირას, საღაც ეს ორი პროცედურა მოკლე ხნის განმავლობაში რამდენიმეჯერ ცვლის ერთმანეთს.

სასურველია და ზოგჯერ საჭიროც, რომ მზის აბაზანების მიღების დაწყებას 2—3 დღით წინ უსწრებდეს ჰაერის აპაზანები.

მზის აბაზანების მიღებისათვის ავადმყოფი შიშველი წვეპა და ქვედა კიდურებს მზისაკენ მიმართავს. თავი უნდა იყოს დაცული მზის პირდაპირი სხივებისაგან, რისთვისაც საკმარისია ქოლგის ჩრდილი ან რაიმე თეთრი ქსოვილის დაფარება. გულის მხრივ უსიამოვნო შეგრძნებების შემთხვევაში საჭიროა გულის არეზე წყალში დასველებული ტილოს დაფარება.

მზის აბაზანების მიღების დროს საჭიროა ავადმყოფის მდებარეობის შეცვლა, რომ სხეულის სხვადასხვა ნაწილი თანაბარი დროის განმავლობაში დასხივდეს.

აბაზანების მიღება არ შეიძლება ცარიელ კუჭზე და არც საჭმლის მიღებისთანავე; იგი უნდა დაინიშნოს მსუბუქი საუზმიდან $1\frac{1}{2}$ —1 საათის შემდეგ.

ზოგჯერ ავადმყოფები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი პროცედურა მიიღონ და ეჭიმისაგან მოითხოვენ მენჯის მინე-

რალური წყლის და მზის აბაზანების ერთ და იმავე დღეს დანიშვნას. ეს კი ყოვლად დაუშვებელია, რადგან ალნიშნული პროცედურები მძლავრად მოქმედებს აღამიანის ორგანიზაციების და ერთდროულად მიღების შემთხვევაში შეუძლიათ გამოიწვიონ მისი გადატვირთვა. თუ ავადმყოფისათვის საჭიროა ორივე სახის პროცედურა, მაშინ თითოეული მათგანი უნდა დაინიშნოს დღეგამოშვებით. თუ მზის აბაზანების მიღების შემდეგ ავადმყოფი გრძნობს დალლილობას, დამტვრეულობას, მაღის დაკარგვას, გულის ფრიალს ან აწუხებს უძილობა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ვერ იტანს მზის აბაზანებს; მზის აბაზანების აუტანლობაზე მიუთითებს აგრეთვე მაჯის გახშირება, სხეულის ტემპერატურის მომატება და სხვ. ასეთ შემთხვევებში ამცირებენ აბაზანის ხანგრძლიობას ან დროებით სწყვეტენ მას.

მთელ რიგ დაავადებათა შემთხვევაში მზის აბაზანებით მკურნალობა სრულებით არ არის ნაჩვენები და მას შეუძლია ავადმყოფს დიდი ზიანიც კი მოუტანოს, ამიტომ მათი დანიშვნა დიდი სიფრთხილით უნდა წარმოებდეს.

მენჯში სამკურნალოდ ჩამოსული ავადმყოფებიდან მზის აბაზანები შეიძლება დაენიშნოს სახსრების ქრონიკული ანთებით, მიოზიტით, პერიფერიული ნერვული სისტემის, გინეკოლოგიური და სხვ. დაავადებით შეპყრობილებს. გულისა და სისხლძარღვთა დაავადების შემთხვევაში მზის აბაზანებით მკურნალობა ნაჩვენები არ არის.

მზის აბაზანებით მკურნალობა წინააღმდეგნაჩვენებია აგრეთვე ყოველგვარი მწვავე ინფექციური და ჩირქოვანი დაავადების, სისხლის დენის ან სისხლის დენისადმი მიღრეკილების, საერთო სისუსტის და სიგამხდრის, კანის ზოგიერთ დაავადებათა, გულისა და სისხლძარღვთა დაავადებების, ჰიპერტონიული დაავადების, შაქრიანი დიაბეტის და სხვ. დროს.

სამკურნალო ფიზკულტურა

სანატორიუმში ავადმყოფთა მკურნალობის დროს დიდი ყურადღება ექცევა ფიზკულტურულ მეთოდებს. არც ისე

იშვიათია შემთხვევა, როდესაც ავადმყოფი უარს აცხადება
ფიზკულტურაზე, რაც იმით აიხსნება, რომ ბევრი არ იცნობს
მკურნალობის ამ მეთოდის მნიშვნელობას ამა თუ იმ დაავა-
დების დროს. ექიმის მიერ ამ საკითხზე საუბრის ჩატარების
შემდეგ სწრაფად იზრდება სამკურნალო ფიზკულტურის
მომხრეთა რიცხვი.

დილის ფიზვარჯიშის დროს ავადმყოფი ნახევრად გახდილი,
ან ძლიერ მსუბუქად უნდა იყოს ჩატარები. ვარჯიში წარმო-
ადგენს ჰაერის აბაზანების ერთგვარ ნაირსახეობას და მას ისე-
თივე მოქმედება აქვს, როგორიც ჰაერის აბაზანებს. იგი აძლი-
ერებს ადამიანის ფიზიკურ გამძლეობას და ამტანიანობას.

სამკურნალო ფიზკულტურას სარგებლობა მხოლოდ მაშინ
მოაქვს, როდესაც იგი დანიშნულია ექიმის მიერ და როცა
ავადმყოფი ზუსტად იცავს მკურნალობის ყველა წესს.

ზოგჯერ გულის დაავადებით შეპყრობილები უნდობლობით
უყურებენ სამკურნალო ფიზკულტურას და უსაფუძვლო
უარს აცხადებენ ვარჯიშზე. უნდა გვახსოვდეს, რომ გულით
დაავადებულთათვის სამკურნალო ფიზკულტურას დაუფასე-
ბელი სარგებლობის მოტანა შეუძლია; მხოლოდ საჭიროა
ავადმყოფების ინდივიდუალური შერჩევა და ფიზიკური
ვარჯიშის შეფარდება ავადმყოფის ძალ-ღონესთან. უსი-
ამოვნო შეგრძნებები—დალლილობა და დამტვრეულობა
ორგანიზმის ვარჯიშით გადატვირთვის მაჩვენებელია. ასეთ
შემთხვევაში ავადმყოფმა ვარჯიში უნდა შეწყვიტოს ან მას
სხვა სახის, ნაკლებ დამტვირთავი ვარჯიში უნდა დაენიშნოს.

ტერენკური

ზოგიერთი დაავადების დროს (გულის დაავადებები, სიძ-
სუქნე და სხვ.) დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფის თანდა-
თანობით შეჩვევას მოძრაობასთან. ამისათვის ავადმყოფს
უნიშნავენ დოზირებულ სიარულს აღმართზე ამავალი ბილი-
კით—ე. წ. ტერენკურს. სასიარულო მანძილს ყოველდღიუ-
რად თანდათანობით უმატებენ. ამასთანავე გზა უფრო მაღლა
აღის მთის კალთაზე; გზადაგზა მოწყობილია დასასვენებელი

ადგილები. მკურნალობის ეს საშუალება წარმოადგენს გულისხმოვან კუნთის ერთგვარ ვარჯიშს. გული თანდათანობით ეჩვევა მეტი დატვირთვის ატანას და ამრიგად უფრო გამძლე ხდება.

ტერენკურით სარგებლობისათვის აუცილებელია ექიმის დასტურის მიღება, რადგან ზოგიერთი დაავადების დროს ტერენკური წინააღმდეგნაჩვენებია. ამ მეთოდით მკურნალობა, ისე როგორც სხვა სამკურნალო საშუალებათა გამოყენება, ექიმის მეთვალყურეობას მოითხოვს, რადგან ექიმია, მიერ განსაზღვრული დოზების დარღვევა ხშირად იწვევს ავადმყოფის გადაქანცვას.

მენჯში სამკურნალოდ ჩამოსული ავადმყოფებისათვის აღნიშნული მეთოდით მკურნალობა ხელმისაწვდომია; ტერენკური იწყება სანატორიუმის ეზოში და მიიმართება ეკის მთისაკენ.

სამკურნალო კვება

სამკურნალო კვებას დიდი ყურადღება ექცევა ავადმყოფთა მკურნალობის დროს კურორტზე, კერძოდ მენჯში.

სამკურნალო კვება აგებულია ჯგუფობრივ პრინციპზე; ავადმყოფებს აჯგუფებენ დაავადების ხასიათის მიხედვით და უნიშნავენ ისეთ საჭმელს, რომელიც თავის შემადგენლობისა და მომზადების მხრივ შეეფერება ავადმყოფის მდგომარეობას. სულ არსებობს 15 ასეთი ჯგუფი, ე. წ. სამკურნალო მაგიდა.

ზოგიერთი სამკურნალო მაგიდა ვერ აკმაყოფილებს ავადმყოფებს თავისი მოცულობის, გემოს და სხვა მხრივ; ავადმყოფებში განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს წონაში დაკლება ან მოუმატებლობა, ზოგიერთს ვერ წარმოუდგენია ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება წონაში მომზების გარეშე.

უნდა ვიცოდეთ, რომ ზოგიერთი დაავადების დროს (სიმუქნე, გულისა და სისხლძარღვთა დაავადებები და სხვ.) საჭიროა წონაში დაკლება. უმრავლეს შემთხვევაში კი წონის შეცვლა საჭირო არ არის.



ფოთი. ძველი ქოშკი.



რასაკვირველია, ზოგიერთი დაავადების დროს ყოველგუარებულონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული ავადმყოფის წონაში მომატებისათვის. მაგრამ - ასეთი ავადმყოფები არ ხვდებიან მენჯში. ისინი იგზავნებიან სამთო კლიმატურ კურორტებზე, სადაც მოკლე ხნის განმავლობაში წონაში საგრძნობლად იმატებენ.

სანატორიული რეჟიმი

სანატორიული რეჟიმის ზუსტად დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფის მკურნალობისა და დასვენებისათვის. სანატორიუმის შინაგანაწესი შედგენილია მრავალი წლის მუშაობისა და გამოცდილების საფუძველზე. იგი იძლევა ყველა კურორტული ფაქტორის მაქსიმალური სარგებლობით გამოყენების საშუალებას. სანატორიული რეჟიმი და დასვენება გულისხმობს არა მარტო ძილს, გაუნძრევლად ლოგინში ან სავარძელზე წოლას, არამედ გართობასაც, რომელიც არ მოითხოვს ავადმყოფის მხრივ არც ფიზიკური და არც გონებრივი ძალის დიდ ხარჯვას.

ავადმყოფებმა უნდა ისარგებლონ სანატორიუმებში ყოვენით და თავი დაანებონ თამბაქოს წევას, რადგან იგი ცუდად მოქმედებს აღამიანის ჯანმრთელობაზე. არ არის აღაძიახის სხეულის არც ერთი ორგანო, რომელზედაც თაჭბაქოს წევა უარყოფით გავლენას არ ახდენს; განსაკუთრებით ძლიერია მისი გამანადგურებელი გავლენა გულსა და სისხლის ძარღვებზე; იგი არ ზოგავს არც ფილტვებს, არც საჭმლის მომნელუბელ ორგანოებს, არც თავის ტვინს; თამბაქოს წევის დროს. აღნიშნება პირში ცუდი გემო, ხველა შავი ნახველით, ზოგჯერ გულისრევა, გულძმარვა, გულის ფრიალი, ყრუ ტკივილი გულის არეში, თავის ტკივილი, ზოგჯერ თავბრუსხვევა, მეხსა-ერების დაჭვეითება და სხვ.

რაც ადრე იქნება მიტოვებული თამბაქოს წევა, მით მალე გაქრება ეს უსიამოვნო შეგრძნებები.



საქსკურსო ოდგილები



კურორტულ ფაქტორთა კომპლექსში საპატიო ადგილი უჭირავს ექსკურსიებს ისტორიულ, სახალხო-სამეურხეო და სხვა. მნიშვნელობის ადგილებში. მენჯის მიღამოებში მრავლად მოიპოვება ისეთი ადგილები, რომელთაც დამსვენებლები დიდი ინტერესით ათვალიერებენ. მათ შორის ალსანიშნავია ქალაქი ზუგდიდი თავისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმით და ინგურის ქაღალდის კომბინატი, ნოქალაქევი თავისი შესანიშნავი მინერალური წყლებით, სოფ-ხორშის ეთერ-ზეთოვანი კულტურის მეურნეობა და სხვ.

მენჯიდან ზუგდიდში მიმოსვლა შეიძლება როგორც რკინიგზით, ისე ავტომანქანით; სამანქანო ასფალტირებული გზით ზუგდიდი მენჯს დაცილებულია 42 კილომეტრით. ჩვეულებრივ, მენჯიდან ზუგდიდში ავადმყოფები მიღიან სანატორიუმის ავტობუსით. სამანქანო გზა გადის სოფ. ცაიშვილი, სადაც არის მენჯის ანალოგიური მინერალური წყალი, მაგრამ ეს სოფელი ამჟამად სახელგანთქმულია თავისი ახალი მინერალური წყლით, რომელიც დიდი სილრმიდან ამოდის და როკლის ტემპერატურა 82° აღწევს. ამ წყალს $36-37^{\circ}$ -შდე გაცივების შემდეგ ხმარობენ აბაზანების სახით კანის ზოგიერთი დაავადების წინააღმდეგ. ამჟამად მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა ამ წყლებს ყოველმხრივი შესწავლისა და გამოყენებისათვის.

ზუგდიდში ბევრი რამ არის საინტერესო ექსკურსანტებისათვის; ქალაქის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდში ირიცხება 80.000-მდე ექსპონატი, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ჩვენი წარსულის გაცნობისათვის. ქალაქის მახლობლად მდებარეობს ინგურის ქაღალდის კომბინატი, რომელიც ქაღალდით ამარაგებს ჩვენს ქვეყანას. ეს კომბინატი მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის

მიხედვით, ექსკურსანტები დიდი ინტერესით ათვალიერებულ მთელ ტექნოლოგიურ პროცესს—უხეში მასალის პირველადი დამუშავებიდან მაღალი ხარისხის ქაღალდის მიღებამდე. ქალაქში საყურადღებოა აგრეთვე მშვენიერი პარკი და ახალი ნაგებობები.

ცხაკაიადან 15 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ნოქალაქევი. მიმოსვლა წარმოებს ავტომანქანით.

ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ცნობით, ნოქალაქევი ჯერ კიდევ III საუკუნეში ჩაიყალა. წელთაღრიცხვაში ატარებდა „არქეოპოლისის“ სახელს, რაც ბერძნულად ნიშნავს ძველ ქალაქს. ფიქრობენ, რომ აქვე იმყოფებოდა ძველი ცნობილი ქალაქი აია, კოლხეთის მეფე აიეტის რეზიდენცია, სადაც მოდიოდნენ ოქროს ვერძის მაძიებელი არგონავტები. აქ ეკის მთას სჭრის მდინარე ტეხურა, რომლის კალაპოტი ალაგ-ალაგ ისეა შევიწროებული მთის მასივის მიერ, რომ ადვილად შეიძლება მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადახტომა. აქვე ახლოს, სადაც მდინარე ტეხურს ერთვის მდ. გურძემია, გამოჩეული მინერალური წყალი, რომელიც თავისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით და მოქმედებით წარმოადგენს ცნობილ წყალტუბოს ანალოგს. აქ მოწყობილია აბაზანები, სადაც ზაფხულობით ბევრი ავადმყოფი იყრის თავს.

აღნიშნული მინერალური წყლით, ეტყობა, უძველეს დროშიც სარგებლობდნენ, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური გათხრები.

ნოქალაქევის გზაზე დაბა ძველ-ენაკთან, სოფ. შევეფში შეიძლება კარგად შენახული ძველი ციხის დათვალიერება.

ნოქალაქევიდან ავტომანქანით შეიძლება მივაღწიოთ მაღალმთიანი კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კურორტ ლებარდეს, რომელიც ცნობილია თავისი სასმელი მინერალური წყლებით და ხელუხლებელი წიწვიანი ტყით. ეს მშვენიერი სამკურნალო ადგილი. სრული უგზოობისა და მოუწყობლობის გაძო, ახლო წარსულში გამოუყენებული იყო; ახლა ის დაკავშირებულია რაიონულ ცენტრთან საავტომობილო გზით და

უოველწლიურად იზიდავს დიდალ დამსვენებელსა და აუკუნ
მყოფს.

მენჯის მახლობლად სოფ. ხორშში მდებარეობს ეთერ-ზეთო-
ვანი კულტურის საბჭოთა მეურნეობა. აქ შეიძლება ამ კულ-
ტურის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესის გაცნობა.

ქ. ცხაკაიაში ექსკურსანტებს შეუძლიათ გაეცნონ ხალიჩე-
ბის საქსოვი ქარხნის მუშაობას. ქალაქშივე მდებარეობს ჩაის
ფაბრიკა, საღაც ხდება ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავება.
რთული ტექნოლოგიური პროცესის შედეგად ახლად ქოკრე-
ფილი ჩაის მწვანე ფოთლებიდან სულ რამდენიმე საათის
განმავლობაში მიიღება მზა პროდუქცია. ამ ქარხნის მუშაო-
ბის გაცნობა ექსკურსანტებში დიდ ინტერესს იწვევს.

მენჯის გზატკეცილი დასავლეთით ჭერ გაივლის სოფ.
ლესიჭინეს, საღაც არსებობს ჩაის დიდი საბჭოთა მეურნეობა,
შემდეგ მიემართება რაიონულ ცენტრ ჩხოროწყუში. აქედან
გზა სოფ. მუხურის გავლით აღწევს სოფ. ლუგელას, საღაც
არსებობს ცნობილი მინერალური წყარო. ლუგელას წყალი
იმით არის შესანიშნავი, რომ შეიცავს ქლორ-კალციუმს 10%
რაოდენობით, ე. ი. ისეთი კონცენტრაციისას, როგორიც მიიღ-
ბა აფთიაქიდან ექიმის გამოწერით. ამ მხრივ ლუგელას მინე-
რალურ წყალს ბადალი არ ყავს მსოფლიოში: ლუგელას წყა-
ლი ავადმყოფებს ენიშნებათ დღეში 3-ჭერ თითო სუფრის
კოვზი. მისი ლფრო მეტი რაოდენობით მიღება არ შეიძლება.

ქალაქი ფოთი მდებარეობს შავი ზღვის პირას, მდინარე
რიონის შესართავთან, პალეასტომის ტბის ახლოს. საავტო-
მობილო გზა მენჯიდან ფოთამდე გადაჭრის კოლხეთის დაბ-
ლობს; გზადაგზა ექსკურსანტი იმ დიდი ბუშაობის ბორბე
ხდება, რომელიც უძველესი დროიდან ცნობილი კოლხეთის
ჭაობების ამოსაშრობად ტარდება.

ფოთში ყოთნის დროს საინტერესოა გრეიპფრუტის საბჭო-
თა მეურნეობის და აგრეთვე მხარეთმცოდნეობის შუბეუბის
დათვალიერება.

მენჯის მახლობლად კიდევ ბევრი სხვა აღგილი მოიპოვება,
რომელთა დათვალიერება არ იქნება. საქართველოს მოკლე-
ჯე



ბული. ეს ბუნებრივიცაა. არქეოლოგიური გათხრები შემთხვევითი აღმოჩენები მოწმობენ კოლხეთის მოსახლეობის—კოლხების დიდ კულტურას. მეტად საინტერესოა ასეთი ადგილების დათვალიერება და იმ ექსპონატების გაცნობა, რომელთაც კავშირი აქვთ ჩვენი მეტად შორეული წინაპრების ცხოვრებასთან.



გ მ ა რ ს ი

ავტორებისაგან	3
ადგილმდებარეობა	5
ისტორიული ცნობები და კურორტის თანამედროვე მდგომარეობა	8
ჰავა	12
ფლორა და ფაუნა	14
მინერალური წყლების ფიზიკურ-ქიმიური დახასიათება	16
სამკურნალო ფაქტორები	22
მენჯის აბაზანების სამკურნალო მოქმედება სხვადასხვა დაავადების დროს	28
მენჯის აბაზანების დანიშვნის მეთოდიკა	42
მენჯის აბაზანებით მკურნალობის ჩვენებანი	45
მენჯის აბაზანებით მკურნალობის წინააღმდეგ ჩვენებანი	48
ჰაერის, მზის აბაზანები და სხვა სამკურნალო ფაქტორები	49
საექსკურსო ადგილები	56

Доц. Владимир Семенович ГЕРСАМИЯ

Акакий Григорьевич КАКУЛИЯ

КУРОРТ МЕНДЖИ

(На грузинском языке)

Грузмедгиз

თბილისი

1955



საქართველო
გიგანტი

შეცდომების გასწორება

გვ.	სტრიქონი ძველიდან	არის დაბეჭდილი	უნდა იყოს
19	4	BH ₂ S	H ₂ S
20	8	ანდრიდი	ანჰიდრიდი
19		კურალების ფორმულა უნდა იყითხუნდეს შემდეგნაირად:	
		H ₂ S 0,0415 M 7,7 $\frac{\text{Cl } 98}{\text{Na } 89}$ t 20,5°C	

